წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 12 მაისი, 1921 წ.

№ 57 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 57

რევოლიუციონური პროფკავშირების ინტერნაციონალი

კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე კონგრესის დათავებისათანავე მოსკოვში გაიხსნება ივლისის პირველში წითელი პროფესიონალური კავშირების პირველი საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც იქნება წარმოდგენილი 14 მილიონი შეკავშირებული მუშა. იწვევს კონგრესს წარსული წლის აგვისტოში ინგლისელი, იტალიელ და რუსულ პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლების ინიციატივით მოსკოვში დაარსებული დროებითი საერთაშორისო საბჭო პროფესიონალურ და საწარმოო კავშირებისა. წინააღმდეგ პროფკავშირების ამსტერდამის ფედერაციისა, რომელიც აკავშირებს რეფორმისტულ ნაწილს კავშირებისას, მომავალმა კონგრესმა უნდა ჩაუყაროს მკვიდრი საფუძველი რევოლიუციონურ სინდიკალურ ინტერნაციონალს მსგავსად არსებული მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის, კომუნისტური ინტერნაციონალისა.

პროფესიონალურ კავშირებში რეფორმიზმის გავლენას (რაც ომის პირობებმა კიდევ უფრო გაართულა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიერ ამ კავშირების ფაქტიურათ თავის მიზნებისათვის გამოყენებით) ცხადია თავის ბეჭედი უნდა დაესვა იმ მეთოდებზედაც, რომელთა საშუალებით დაწყებული იყო ცდა ომის მიერ დანგრეულ პროფესიონალური ინტერნაციონალის აღდგენის. კითხვები, რომლებიც წამოიჭრა მუშათა კლასის უდიდესი დამარცხების შემდეგ მისი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციის აღდგენის დროს, ძალა უნებურად უნდა დასმულიყო პროფესიონალური მუშაობის სფეროშიაც. შეგუება ნაციონალურ ბურჟუაზიასთან თუ შეურიგებელი ომის წარმოება მასთან? შემოფარგვლა თავის მიზნების ვიწრო კორპორატიული ინტერესებით თუ დაყენება კითხვის არსებული რეჟიმის რევოლიუციონური გზით რადიკალურათ შეცვლის შესახებ? სამოქალაქო ზავი თუ სამოქალაქო ომი? დიქტატურა პროლეტარიატის და საბჭოთა სისტემა თუ „დემოკრატია“ და პარლამენტარული რეჟიმი დღეს, ომის მიერ შექმნილ საერთო ეკონომიურ პოლიტიკურ მწვავე კრიზისის და სოციალისტური რევოლიუციის ხანაში? ასეთი იყო სხვათაშორის კითხვები, რომლის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო მიზნები პროფესიონალური ინტერნაციონალის, ტაქტიკა და ორგანიზაცია მისი. პოლიტიკურათ კითხვა გადიჭრა კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებით, მისი არაჩვეულებრივი ზრდით—ერთი მხრით და მეორე ინტერნაციონალის დანგრევით, მისი ლეშათ ქცევით რომლის ნაფლეთები მიწოდებული არიან დღეს დაფარონ იქა-იქ სიტიტვლე იმპერიალისტური მთავრობების და განაგრძონ, მათ დამორჩილებაში იყოლიონ მუშათა ის „არისტოკრატიული“ წრეები, რომლებიც ეკონომიურათ დაკავშირებული არიან არსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილებასთან და ამ უკანასკნელთან ერთათ უნდა დაიღუპონ.

პროფესიონალური მოძრაობის სფეროში არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია ამსტერდამის ფედერაციით წოდებული, რომელთა ლიდერებმა ჟუომ, გომპერსმა, აპლეტონმა და სხვ. უდიდესი როლი ითამაშეს მუშათა ინტერნაციონალის დაცემაში მის იმპერიალიზმისათვის დამორჩილებაში და განაგრძობენ დღესაც „ზავის“ პირობებში შესაფერი მუშაობის წარმოებას. ფაქტიურათ ეს ფედერაცია, არა იმდენათ მისი მასიური შემადგენლობით, რამდენადაც იქ შესული კავშირების არისტოკრატიული და ბიუროკრატიული ელემენტებისა და ბურჟუაზიულ მთავრობებთან დაკავშირებული ლიდერების მეოხებით, წარმოადგენს დღეს ერთ დასაყრდენ ბაზას მებრძოლი იმპერიალიზმისას და თამაშობს ობიექტიურათ კონტრ-რევოლიუციონურ როლს ჩვენი დროის გაალმასებული ბრძოლის პირობებში, როდესაც ამ ბრძოლის გარეშე დგომა რეალურათ შეუძლებელია. ცხადია, ასეთ ორგანიზაციას უნდა დაუპირდაპირდეს ისეთი გაერთიანება ინტერნაციონალურ მასშტაბში, რომელიც შესძლებს აწარმოოს პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა. ამ მიზნით, უკვე ამსტერდამის ფედერაციის შექმნამდე, რუსეთის პროფკავშირების ინიციატივით დაწყებული იყო ცდა გაერთიანების, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ყველა ძველი კავშირების. ეს გადაწყვეტილება პროფკავშირების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობისა, მიუხედავათ მრავალმხრივი ნაბიჯებისა, დათავდა უშედეგოთ, სანამ არ იქმნა შემუშავებული ხელმძღვანელი პრინციპიალური დებულებანი ახალი რევოლიუციონური პროფკავშირების ინტერნაციონალისათვის და არ დაარსდა ზემოხსენებული დროებითი საერთაშორისო საბჭო. ეს საბჭო, დაპირისპირებული როგორც ძველი ბურჟუაზიული ქვეყნის, ისე ამსტერდამის ფედერაციის წინააღმდეგ, აერთებს დღეს პროფესიონალურათ შეერთებულ იმ ნაწილს პროლეტარიატისას, რომელიც დღის წესრიგში აყენებს არა თანამშრომლობას ნაციათა ლიგის შრომის ბიუროში, ფაქტიურათ კაპიტალიზმის გასამაგრებლათ, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ამ კაპიტალიზმთან და მის გამამაგრებელ ყვითელ პროფკავშირებთან. ივლისის კონგრესი რევოლიუციონური სინდიკალური ინტერნაციონალისა ხელს შეუწყობს და მძლავრათ წინ გასწევს სოციალისტურ რევოლიუციას და გამარჯვებამდი მიიტანს მის დროშას. ჩვენი ქვეყნის პროფესიონალური კავშირები განთავისუფლებულნი ძველი მენშევიკური ბატონებისაგან, ალორძინებულნი სხვა პრინციპებზე, ამოძრავებულნი სხვა მისწრაფებით და მიზნებით, ვინემ ეს იყო დღემდი, თავის წვლილს შეიტანენ მომავალ საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში და მით აღადგენენ და განამტკიცებენ უკანასკნელ წლებში რევოლიუციონურ ძალებთან გაწყვეტილ კავშირს.

პრესის მაგიერ

ამხ. ნარიმანოვის მიერ გამოთქმულ აზრის გამო ხელოვნურ საზღვრების წაშლის შესახებ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტ“-მა წამოაყენა კითხვა საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ეჭვი შეიტანა ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, რამდენადაც, მისი აზრით, ვილაცას განძრახვა საზღვრების წაშლის შესახებ მოყვანილი იქნებოდა სისრულეში.

ამაზე გამოვსთქვით საპასუხოთ ჩვენი შეხედულება საზღვრების შესახებ, რომელთა მოსპობაზე კითხვა, ჩვენის ცნობით, არც რუსეთის ფედერაციის პრაქტიკაში და მით უმეტეს არც ჩვენში არ დამდგარა, რომ ამით გაუქმებულიყო ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ჩვენ ვთხოვეთ მოქ. შ ნ—ს დაესახელებია, თუ მას ჰქონდა სახეში რომელიმე შემთხვევა ასეთი ცდის. და ჩვენ სრულიადაც არ გვდომებია გამოგვეყვანა კამათის საზღვრებიდან, ან რაიმე სხვა ნიადაგზე გადაგვეტანა კითხვა, როგორც ეს მას მოსჩვენებია. თუ ჩვენ ვლაპარაკობდით მჭიდრო ეკონომიური კავშირისათვის საჭირო ზოგ ზომების შესახებ, ეს იმიტომ, რომ სწორეთ ეს ზომები მიაჩნია მოქ. შ. ნ—ს ზოგ ამხანაგების სახიფათოთ ჩვენი დამოუკიდებლობისთვის. „გამოძიებაზე“ ლაპარაკის დაწყება ამ შემთხვევაში, რბილათ რომ ვსთქვათ, ზედმეტია.

ჩვენ ვსწერდით: „საბჭოთა ძალა უფლების ნიადაგზე ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად თავდება ესა თუ ის საზღვარი, მაგ., ერთი-ერთ, ჩვენს შემთხვევაში, ეგრედ წოდებულ ზონასთან, თვით ზონის რომელიმე შუა ხაზზე, თუ ამავე ზონის გადაღმა სიმაღლეებზე“. ცხადია, რომ ლაპარაკია საზღვარზე, ე. ი. ქვეყნის განაპირა ხაზზე. მარა მოქ. შ. ნ—მ ჩემი წინადადება მარდათ შუაზე გასწყვიტა, მოიყვანა მისი პირველი ნახევარი და გვეკითხება: „შეიძლება თუ არა, რომ საბჭოთა ძალა-უფლების ნიადაგზე საქართველოს საზღვარი გაევლოს გორთან ან თბილისთან? ამ „ლოღიკით“ ჩვენ მოწინააღმდეგეს შეეძლო გორის მაგიერ ქუთაისი დაესახელებია მაგალითად. მაგრამ რა საერთო აქვს ასეთ ოთურმას ჩვენს კამათთან?!

საკითხი საზღვრების კონკრეტიული ხაზის შესახებ გარკვეული იქნება დაინტერესებულ მხარეების მიერ და არსებული მუშურ-გლეხური რეჟიმის გამო, უმტკივნეულოდ გადაწყვეტილი. ამ მხრივ დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის მეზობლებისაგან. საერთო მტერი ყავს ყველა ჩვენს რესპუბლიკებს და ამ უმთავრესისკენ უნდა იყოს მიქცეული მთელი ხალხის ყურადღება. ეს უნდა შევაგნებოთ როგორმე იმ ხალხს, რომელსაც ჩვენი დამოუკიდებლობის საეჭვო მეგობრებათ გამოყავს მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები, რასაკვირველია გამჭვრეტილი და გადიდებული ნაციონალისტური სათვალეების საშვალებით.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

ამხ. ბუხარინის მოხსენება პარტიულ აღმშენებლობის შესახებ.

ბუხარინი, (გაგრძელება). კლასიურ ჯგუფთა განსხვავების ერ გზებს იმის მტკიცებამდი მივყავართ, რომელიც უკვე გააკრიტიკა ამხ. ლენინმა, თითქო ყველაფერი მწარმოებელთა ხელში იმყოფება. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ეს ტერმინოლოგია, რომელსაც უწინ ვერასოდეს ვერ შეხვდებოდით მარქსისტულ თეორიაში, არის პრუდონულ ანარქისტული.

ვიმეორებ, მე ვჩერდები თავისთავად საგულისხმო რამეებზე სწორედ იმიტომ, რომ თავის თავად გასაგები ბევრი რამ ვერ არის საკმაოდ შეგნებული ჩვენი პარტიული აზროვნების მთელი რიგ მიმდინარეობათა მიერ და სწორედ იმიტომ, რომ იგინი არ არი შეგნებული, მეტად საშიში არიან. ამხ. ლენინი აქ სრულ სიმართლეს ლაპარაკობდა, რომ თუ ჩვენ ცოტათი გადაუხვევთ წმინდა-პოლიტიკურ დარგში, შემოგვრეოდა წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია, გაარღვევდა ყოველგვარ დაბრკოლებათ და პროლეტარულ დიქტატურას ძირს დასცემდა. მე მგონია, თუ ჩვენ შევეცდებოდით საორგანიზაციო ფორმების შესახებ ერთგვარი ზოგადი დებულება წარმოგვედგინა, იძულებული შევიქნებოდით დაახლოვებით შემდეგი დებულებები მიგვეღო: 1) დემოკრატიზმის ფორმები მიდის ჩამომავალი წესით ორ გარემოებაზე დამოკიდებულებით: პირველი, ამა თუ იმ ორგანიზაციის სოციალურ კლასიურ შემადგენლობისაგან, ამასთან რაც უფრო მეტი პროლეტარული შინაარსი მოიპოვება ამ სოციალური კლასიურ შემადგენლობაში, მით უფრო მეტი დემოკრატიზმი შეგვიძლია ჩვენ შიგნით დაუშვათ, და, პირიქით, რაც უფრო ნაკლები პროლეტარული შემადგენლობა აქვს ორგანიზაციას, მით უფრო ნაკლები დემოკრატიზმი შეგვიძლია დაუშვათ; 2) ეს დემოკრატიზმი კიდევ ისაზღვრება იმ აპარატების ფუნქციებისაგან დამოკიდებულებით, რომელნიც (აპარატები) მხედველობაშია მიღებული. რაც უფრო მეტია აღმზრდელობითი ფუნქციები და ფუნქციებში ლაბორატორიულ-აზროვნებითი, იდეოლოგიის მოხზადება, მისი დამუშავება, მთელი მოღვაწეობის მიმართულება და სხვ., მით უფრო მეტი დემოკრატიზმია აუცილებელი, და, პირიქით, რაც უფრო ნაკლებად სრულდება ადმინისტრატიული ფუნქციები, მით უფრო ნაკლებ დემოკრატიზმს უნდა ჰქონდეს ადგილი.

ამ ორი ფაქტორით ამოიწურება ძირითადი სიბრძნე, რომელიც დემოკრატიზმს ეხება. ადვილი გასაგებია, რომ იქ, სადაც პირველ რიგში სდგას ასრულება, მაგალითად, არმიაში, იქ დემოკრატიზმის ფორმები უნდა იყოს რაც შეიძლება შეზღუდული. ასევეა იქაც, სადაც პროლეტარიატი პროცენტის მხრივ მაინც და მაინც დიდ ელემენტს არ წარმოადგენს, იქ ცხადია, უნდა იყოს ნაკლები დემოკრატიზმი. პირიქით, იქ სადაც ჩვენ მოგვეპოვება პროლეტარიატის მოწინავე ორგანიზაციები, იქ დემოკრატიზმი დასაშვებია მეტად ფართო ფარგლებში. აი რატომ, როდესაც ლაპარაკია ჩვენი პროლეტარულ ორგანიზაციების სხვადასხვა აპარატების შესახებ: პარტიასა, პროფკავშირებსა, მმართველობის უბრალო ორგანოებსა, ჯარისა და სხვათა შესახებ, თავისთავად გასაგებია, რომ, ვინაიდან ამ აპარატების სოციალური შემადგენლობა სხვადასხვანაირია და მათი თვით მიზნებიც განსხვავებულია,—ორგანიზაციის ფორმების მექანიკური გადატანა აბსურდს წარმოადგენს. ჩვენი პარტია არის ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტების ორგანიზაცია, და, გარდა ამისა, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს აზროვნების ლაბორატორიას, ტვინს ყველაფერ იმისას, რაც კეთდება. ამიტომ ყველაზე ფართო დემოკრატიზმი დასაშვებია ჩვენი პარტიის შიგნით, გარეშე კი გარემოებების მიხედვით. შემდეგ მიდის დემოკრატიზმის ჩამომავალი ხაზი, და დემოკრატიზმის ასეთ ხაზს ამ ორგანიზაციაში ექნება ყველაზე დიდი გამოხატულება. სადაა ლაპარაკი უმთავრესად საომარი ფუნქციების ასრულების შესახებ? და სადაა ლაპარაკი იმაზე, რომ არა პროლეტარულ ელემენტების ყველაზე დიდი პროცენტი გვყავს?—ლაშქარში. იქ კომუნისტები წარმოადგენენ იმ ელემენტს, რომელსაც ხელში უკავია ნედლი გლეხური მასსა და ამავე დროს ლაპარაკია არა იდეოლოგიის სხვადასხვა გეგმების გამომუშავებაზე, არამედ საომარ დავალებათა ასრულებაზე. ამ ორი გარემოებით აიხსნება, რომ არმიაში აქვს ადგილი შინაგანი არა დემოკრატიზმის უკიდურეს გამოხატულებას მაშინ, როდესაც პარტიაში გვაქვს შინაგანი—დემოკრატიული ფორმის დღევანდელი ისტორიულ მომენტში ყველაზე უფრო წარმოსადგენი გამოხატულება. მაშასადამე, ამ სქელობებით ისაზღვრება ის დებულება, რომ ყოვლად შეუძლებელია საკითხის არა ისტორიული განხილვა, ე. ი. განხილვა დამოუკიდებლად იმ ისტორიული მომენტისაგან, რომელსაც ქვეყანა განიცდის. ასევე სრულიად მიუღებელია მუშაობის სხვადასხვა მეთოდების და ხერხის მექანიკური გადატანა, რა შეცდომასაც უშვებენ ორივე ჯგუფი, დემოკრატიული ცენტრალიზმის და, განსაკუთრებით, მუშური ოპოზიცია. აქედან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს სხვა ყველაფერი.

მე მინდა კიდევ ორიოდე სიტყვა ვსთქვა ჩვენში არსებულ სხვა და სხვა შეხედულებათა სოციალურ ბაზის შესახებ. მე ვაყენებ დებულებას, რომ მუშური ჯგუფი, რომელიც თავის თავს მუშურ ოპოზიციას უწოდებს,—ეს ნამდვილად არის არა მუშური ოპოზიცია, არამედ უწინარეს ყოვლისა, რა გინდ გასაკვირი არ იყოს ეს, გლეხური ოპოზიცია. ამას აქ ვერ უარყოფენ ამხ. მელითონეები, როგორც, მაგ., შლიაპნიკოვი, საქმე სრულებით არ მდგომარეობს მუშათა ჯგუფების, მუშურ ოპოზიციის სუბიექტიურ სურვილებში. საქმე ამაში არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ენგელსი ფაბრიკანტის შვილი იყო და, მიუხედავად ამისა, ენგელსი იყო მეცნიერულ სოციალიზმის ერთი დამაარსებელთაგანი. თავის თავად იგულისხმება, რომ მისი კლასიური წარმოშობა ოდნავაც არ საზღვრავდა „კომუნისტური მანიფესტი“-ს ობიექტიური ისტორიულ შინაარს. ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიის ბევრი წევრი, როგორც შლიაპნიკოვი, არიან ჩამომავლობით საპატიო პროლეტარები, აგრედვე ამხ. შლიაპნიკოვის სუბიექტიური ზრახვები, ოდნავაც არ სწყვეტენ საკითხს ობიექტიურათ იმ ჯგუფზე, რომელიც მუშური ოპოზიციად იწოდება. თუ თქვენ შეხედავთ ობიექტიური როლის თვალსაზრისით, ერთბაშად დაინახავთ, თუ რანაირია მუშური ოპოზიციის ობიექტიური როლი ჩვენი პარტიის შიგნით. ამავე დროს საერთოდ და მთლიანად იქ ადგილი აქვს სხვა და სხვა შეჯგუფებათა განსხვავებული ელფერს, და ეჭვგარეშეა, არიან მეტად ჯანსაღი ელემენტებიც.

მაგრამ საერთოდ და მთლიანად იმ შეცდომებში, რასაც ადგილი აქვს მუშური ოპოზიციის შეჯგუფებაში, ამ შეცდომებში და გადახრილობაში, რა გამოსჭვივის. მაშინ კი სახელდობრ შეურიგებელი განვითარება კლასიურ და სხვა და სხვა შეჯგუფებათა შორის, როგორც მუშათა კლასის ისე ქვეყნის შიგნით, განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის, განსხვავება პროლეტარიატს სხვა და სხვა წრეებს შორის. ეს სრულიად ცხადია. როდესაც მოითხოვენ, მაგალითად, მწარმოებელთა საერთო ყრილობას, რომელსაც ხელთ ეპყრება ყველაფერი,—ეს რას ნიშნავს, ეს უთუოდ ნიშნავს განსხვავებას მუშათა-კლასის მოწინავე ავანგარდსა და ამავე კლასის საგრძნობლად გაგლეხებულ მასებისათვის. თუ თქვენ მოითხოვთ აბსოლიუტურ დემოკრატიზმს მუშათა კლასის გაგლეხებულ მასებისათვისაც, რომელიც გამოდის ვაჭრობის თავისუფლების მოთხოვნით და მთელი წყება ასეთივე მოთხოვნებით,—ამით თქვენ რას აღიარებთ? ალბათ, თქვენ თვითონ აღიარებთ, ეს არის სწორედ ამ მოწოლის გამოხატულება.

რასაკვირველია, მმართველმა პარტიამ და მუშათა კლასის ავანგარდმა მოქნილი პოლიტიკა უნდა აწარმოვონ, ხანდახან საჭირო ხდება უკან დახევა, დათმობა,—ეს, ეჭვს გარეშეა, ერთი საქმეა, როდესაც ამას შეგნებულად ჩავდივართ, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის პარტია, რომელსაც მშვენივრად ესმის, რასაც აკეთებს, და რომელიც, მაგალითად გადადის რა სულადი დაბეგვრისაგან სასურსათო გადასახადზე, ხედავს ამაში წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიისადმი დათმობას, ერთგვარ გლეხურ პრესს, და სრულებით სხვა საქმეა, როდესაც ამაში ნახულობენ ძირითად და მეტად წმინდა ჭეშმარიტებას, რომელიც თითქო პროლეტარულ შინაარსის მატარებელია. ეს ორი რამე სრულიად სხვა და სხვაა, რომელთა აღრევა აბსოლიუტურათ არ არის შესაძლებელი, მაგრამ ამხანაგები მუშურ ოპოზიციის ჯგუფიდან სწორედ დგანან იმ თვალსაზრისზე, რომ ისინი აბსოლიუტური დემოკრატიზმის მოთხოვნით, განურჩევლად „სქესისა და ჰასაკისა“, განურჩევლად აპარატისა, ცდილობდნენ დემოკრატიზმს ამ ნაბიჯით გაბედნიერებიათ მუშათა კლასში არსებული ყველა შეჯგუფებანი და ამით ისინი მიდიან წვრილ ბურჟუაზიულ ტალღის ხაზის მიმართულებით,—მე ამას ხაზს ვუსვამ მთელი ძალღონით,—რომელიც ტალღა საზოგადოდ მიმდინარეობს ჩვენს წინააღმდეგ და მუშათა კლასის განაპირულ შეჯგუფებათა საშუალებითაც. ამხანაგებო, აი ეს უნდა შევიგნოთ.

ჩვენი მიზანია. მივიღოთ სათანადო ზომები მუშათა კლასში განსაზღვრული გარდატეხის მისახდენად, რომ იგი შევარჩიოთ იდეოლოგიურად, რომ გავადიდოთ ჩვენი პარტიის გავლენა და სხ. მაგრამ, როდესაც ჩვენ გამოვდივართ ზოგად—დემოკრატიულ ლოზუნგების მექანიკური გადატანის ლოზუნგით არა მარტო პროლეტარიატის ავანგარდის მხრით, როგორც იგი ეწყობა ჩვენს პარტიაში, არამედ მექანიკურად გადავაქვს სხვა ორგანიზაციებზე, მაშინ ჩვენ მართლაც უშვებთ შეცდომას, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

როგორც მე მგონია, ამაშია საქმის მთელი არსი და, თავისთავად იგულისხმება, რომ საქმის შინაარსი განსაზღვრავს ყველაფერ დანარჩენს.

მაშასადამე, ამ გრძელი სიტყვის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ რის დაშვება შეგვიძლია ჩვენი პარტიის შიგნით, რომ ამის გადატანა სხვა ორგანიზაციებზე შესაძლებელი იყოს. რასაკვირველია, ეს საქმე მოითხოვს კონკრეტულ განხილვას, რაა შესაძლებელი ცალ-ცალკე პროფესიონალურ კავშირებისა, საბჭოთა ორგანიზაციებისა, ადმინისტრატიულ ტექნიკურ აპარატებისა და არმიისათვის. მე ვალდებული არა ვარ და არც საჭიროა აქ ყველაფერი ამის კონკრეტული ფორმები წარმოგიდგინოთ. პროფესიონალურ კავშირების შესახებ ეს საკითხი გადაჭრილი იქნება პროფკავშირებზე მოხსენების მიხედვით, არმიის შესახებ,—ეს მას შეეხება, ხოლო ჩემი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოგიდგინოთ ზოგადი დებულება, რომელიც ეხება ჩვენს პარტიას, როგორც მთელი პროლეტარიატის ავანგარდს.

კიდევ განვიმეოროთ. ორი გადახრა და ორი თვალსაზრისი ცხადვყოთ. ერთის მხრით ისტორიულ მომენტისა, და მეორეს მხრით იმ მიზნების, რომლებსაც აყენებს პროლეტარიატს და პროლეტარულ დიქტატურის ესა თუ ის აპარატი. ამხანაგებო, ჩვენ მიდრეკილება გვქონდა წარსული ხანა ძალიან [illegible] გვეგმალა, რამდენადაც ჩვენში განვითარდა ფორმების მთელი წყება, რომელნიც გამოუსადეგრად გვეჩვენებოდა, მაგრამ ეს თვალსაზრისი სრულიად არ არის ისტორიული და მარქსისტული. როდესაც ვეხებით ჩვენს წარსულ შეცდომებს, გარდა იმ საორგანიზაციო ფორმებისა და მუშაობაში შეცდომებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულ ხანაში,—ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ სწორედ იქიდან, თუ რა ამოცანებს ისახავდა წარსული პერიოდი. წარსული ხანა ხასიათდებოდა ომის აუცილებლობით ყველა ფრონტებზე და ისახავდა უშუალო სამხედრო-საომარ მოქმედების მიზანს და ისევე, როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა სამხედრო ბანაკად გადაიქცა,—რაც აღნუსხული იყო მთელ რიგ პროკლამაციებშიაც, ასევე მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე აპარატი, ჩვენი პარტია ამ მომენტთან უნდა ყოფილიყო შეგუებული და ამიტომ სამხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საქ. რევკომის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ამხ. ს. ქავთარაძე.

ზემო-სილეზიაში პოლონელთა გრანდიოზული აჯანყებები ხდება.

განიზაციო სფეროში მან მიიღო წმინდა სამხედრო ფორმა. წმინდა სამხედრო ფორმა ხასიათდება ცენტრალიზაციის უკიდურესი ხარისხით—ეს ერთი, პარტიულ ორგანიზაციის ყველა კოლექტიურ ორგანოების შემჭიდროებით—ეს მეორე და ყველა აღმზრდელობითი ფუნქციების გაუქმებით, დისკუსიების და სხვათა მოსპობით—ეს მესამე.

და მეორეს მხრივ მეთოდების დარგში, რომლებიც აუცილებელი იყო ჩვენი პარტიული ორგანიზაციისათვის, გამოყენებული იყო ის, რასაც მე უწოდებ სამხედრო ბრძანებათა სისტემას. პარტიას შეიძლება ჰქონდეს ორი მთავარი რამ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ესაა სწორედ მიზანი აღზრდისა და იდეურ ზრდისა ან და მიზანი უშუალო სამხედრო მოქმედებისა. იმ ისტორიულ მომენტში პარტიის წინაშე იდგა მიზანი უშუალო სამხედრო ასრულებისა, რომელიც არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ნაყადი აღმზრდელობითი მუშაობის ხარჯზე, ვინაიდან უშუალო სამხედრო ასრულების და აღმზრდელობითი მიზნებს შორის არის ობიექტიური წინააღმდეგობა, რომლიდან არასოდეს არ შეიძლება გამოსვლა. თუ თქვენ წითელ არმიელს უბნებით, რომ შენ ბრძანება განუსჯელად უნდა აასრულო,—ცხადია რომ იგი არ შეძლებს აღიზარდოს ბრძანების განსჯაზე, და ეს ობიექტიური წინააღმდეგობა ყოველთვის იჩენს თავს, როდესაც ისტორია მოამწყვდევს ჩვენს პარტიას და მის ორგანიზაციებს შესაფერ ქუჩაბანდში ან ისეთ მდგომარეობაში, როდესაც საჭიროა მხოლოდ ასრულება და არ მსჯელობა. მაგრამ ისტორიაში ვხვდებით ისეთ მომენტებსაც, როდესაც სამხედრო მიზნები ძალიან შემცირებულია და მაშინ აუცილებლად წარმოსდგება პირველ რიგში აღმზრდელობითი მიზანი, და ამიტომ პირველ რიგში უნდა წარმოსდგნენ სათანადო საორგანიზაციო ფორმები და მეთოდები. ამ გვარად სხვა და სხვა ისტორიული მომენტები, მათგან გამომდინარე დებულებათა დახასიათება და მათში გაშლილი საორგანიზაციო ფორმები, ბოლოს, პარტიული ორგანიზაციის მეთოდები,—ეს მთელი კომპლექსია, სადაც ყოველი ოდნაობა მეორეზეა დამოკიდებული. დგება მომენტი, რომლისგანაც განსაზღვრული მიზანი გამომდინარეობს.

(დასასრული ხვალ).

საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები

ბეჭვდითი ნაწარმოებით უფასოდ მომარაგება

მოსკოვი. 9 მაისი (რადიო) სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით გაუქმებულია ბეჭვდითი ნაწარმოების ფულით შეძენა რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე არსებული ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს უფასოთ ურიგდებათ ცენტრობეჭვდის საშუალებით წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები, და სურათები.

სასურსათო სახ. კომისარიატის განმარტება

მოსკოვი. სასურსათო სახ. კომისარიატი აცხადებს, რომ სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტი პურის, ხორბლეულობა საკვების, კარტოფილის და თივის, თავისუფალ გადაცვლა-გამოცვლის შესახებ, არა ვრცელდება ციმბირსა, კავკასიასა, თურქესტანსა და უკრაინაზე. ამის გამო, როგორც კერძო პიროვნებებს, აგრეთვე ორგანიზაციებს ეკრძალებათ სურსათის შესაძენად წასვლა კავკასიასა, ციმბირსა, თურქესტანსა და უკრაინაში.

მეთამბაქოება

დონის როსტოვი. 28 მაისი. (ტელეგრაფით). სანაპირო ეკონომიურ საბჭოს მიერ მიღებულია რიგი ზომებისა სამხრეთ აღმოსავლეთში თამბაქოს მოყვანის ხელშესაწყობლად. მეთამბაქოების სათანადო გამოკვლევის მიხედვით სამხრეთ აღმოსავლეთში უკანასკნელ წელს თამბაქოს პლანტაციების სივრცე შემცირებულა. 1918 წელში სამხრეთ აღმოსავლეთში თამბაქოს პლანტაციების მოსავალი უდრის 150 მილიონ ფუთს. 1920 წ. 150 ათასი ფუთით ნაკლები იყო. ამჟამად თამბაქოს რაოდენობა უდრის: 1,357 მილიონ ფუთს საწყობებში და 450,000 ფ. პლანტაციებზე.

წითელ მებრძოლთა სალამი.

მოსკოვი. 9 მაისი. (რადიო). მე-51 მოსკოვის დივიზიამ, რომელიც ამჟამად იმყოფება მოსკოვის გარეშე, მოსკოვის საბჭოში თავისი წარმომადგენლები გაგზავნა, რათა დაამტკიცოს მტკიცე კავშირი მოსკოვის პროლეტარიატის და მონათესავე მებრძოლ დივიზიისა. დელეგაციას დაევალა მიესალმოს მოსკოვის მუშებს რომლებმაც ამოირჩიეს კომუნისტების ახალი საბჭო, პროლეტარულ რევოლიუციის ერთგულ პირებისაგან. მოსკოვის დივიზია მზად არის, რომ ყოველთვის აღმოუჩინოს თავისი დახმარება სოციალისტურ დროშას, მძარცველი იმპერიალისტებისაგან რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

მუშათა ქალაქი

მოსკოვი 9 მაისი (რადიო). ცარიცინის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მუშავდება პროექტი „მუშათა ქალაქის" მოსაწყობათ მსგავსად ინგლისის ქალაქებისა. თვითეულ სახლში იცხოვრებს არა უმეტეს ოთხი ოჯახისა, ხოლო მარტოთათვის მოწყობილ იქნება ზოგადი საცხოვრებელი. ქალაქში იქნება სასადილოები, ბიბლიოთეკები და კლუბები.

დონის ოლქი აღორძინებას იწყებს

მოსკოვი 9 მაისი (რადიო). დონის ოლქის მუშები თვალსაჩინოთ ეჯიბრებიან ინჟინრებს. უნდა აღინიშნოს მუშათა განსაკუთრებული ერთგულება და მთელ რიგ ინჟინრების ენერგია. თესვის კომპანია დონის ოლქში ფრიად ნაყოფიერად მიმდინარეობს, აპრილის 20 რიცხვამდე დათესილი იყო 90 პროც. მიწებისა.

„პრავდის" არსებობის 9 წ

მოსკოვი. 7 მაისი (რადიო) 5 აპრილს შესრულდა 9 წელი, პეტროგრადში „პრავდის" პირველი ნომრის გამოცემის შემდეგ, „პრავდა" იყო პირველად ყოველ დღიური გაზეთი, რომელსაც კითხულობდნენ მუშები; რევოლიუციონური ფრთის რუსეთის მუშათა მოძრაობის ორგანო „პრავდა", ვითარდებოდა ბრძოლის ცეცხლში. 9 წლამ განვლო, მუშათა რევოლიუციამ გაიმარჯვა. რუსეთში „პრავდა" განაგრძობს იმავე მიზნისათვის სამსახურს მუშათა კლასის დიქტატურის გასაძლიერებლად. იმავე მიზნის განსახორციელებლად რუსეთში და მის მთელ მსოფლიოში დასამყარებლად. ისტორია „პრავდის" არსებობისა—ეს არის ისტორია ერთი მხრივ იმ ფულით დახმარებისა, რომელიც აღმოუჩინეს მუშათა მასსებმა თავის ორგანოს. მეორე მხრივ ისტორია დაჯარიმებისა, თანამშრომელთა და რედაქტორების დაპატიმრებისა, კონფისკაციებისა და რედაქციების დარბევისა. მუშურ გაზეთის პირველი ორი წლის არსებობის განმავლობაში რედაქტორები უნდა ციხეში მჯდარიყვნენ 96 თვე ან რვა წელიწადი. გაზეთის განვითარების ნებას არ აძლევდნენ, სდევნიდნენ გაზეთის გამყიდველებს ამ გაზეთის გაყიდვისთვის, სახლის პატრონებს უკრძალავდნენ ბინის დათმობას რედაქციისთვის

საწარმოვო კოოპერაცია

მოსკოვი. 9 მაისი (რადიო) თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა რუსეთისა, როგორც ისეთი სახელმწიფოსი, სადაც გლეხთა მეურნეობა სჭარბობს, სადაც მეტად სუსტია მსხვილი წარმოება, სახალხო მეურნეობის სათანადო დონეზე დასაყენებლად გაცვლა გამოცვლის საქმეში წვრილ მწარმოებელ გლეხთა ჩათრევას მოითხოვს. საზოგადო განადგურების წყალობით სახელმწიფო მრეწველობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების შეუძლებლობის გამო, ჩვენ დაგვრჩენია სურსათ სანოვაგის აუცილებელ რაოდენობის წვრილ და საშუალო მრეწველ. აღდგენის გზით. 7 აპრილის დეკრეტით მომხმარებელ კოოპერაციას მიეცა სრული უფლება წარმოებათა მოწყობისა და აგრეთვე სურსათ-სანოვაგის მოყვანისა და დამუშავებისა. უახლოეს ხანში კოოპერაციას შეუძლია განავითაროს წვრილ და საშუალო მრეწველობის შემდეგი კატეგორიები: კარტოფილისა, სარძეო, ტყავეულების დამამუშავებელი, საფქვავი, შუშისა, ფაიფურისა, საპნისა, კონსერვისა, ხის დამამუშავების და თამბაქოსი. საწარმოვო კოოპერაციის გაძლიერების და შემდეგ განვითარების მიზნით, საჭიროა გადაეცეს მას ის წარმოებანი, რომლებიც წინეთ იმყოფებოდნენ კოოპერატიულ კავშირთა უწყებაში. (დამახინჯებულია), და აგრეთვე გადაცემა იმ სახელმწიფო, წარმოებებისა, რომლებიც არ შესულან მრეწველობის გეგმაში. საჭიროა ყოველგვარი წახალისება ადგილობრივ თვით მოქმედების გასაძლიერებლად ცეკავშირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

პროფ. კავშ. საერთაშორისო კონგრესი

მოსკოვი 9 მაისი. (რადიო). 1 ივლისს, როდესაც კი დამთავრდება კომუნისტური ინტერნაციონალის 3 მე კონგრესი, მოსკოვში გაიხსნება წითელი პროფკავშირების პირველი საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე მოსკოვში ჩამოვლენ მთელი ქვეყნის 14 მილიონ შეკავშირებული მუშის წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ წარუდგინონ სრულიად დამთავრებულ ორგანიზაცია, რევოლიუციონურ მთავარ შტაბს-წითელი პროფ-კავშირების საერთაშორისო საბჭოს.

საზღვარ-გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები

კიდევ ერთი კონფერენცია

ბათომი. 9 მაისი. (ტელეგრაფით). ლონდონში უმაღლეს საბჭოს სხდომაზე ბრიანმა შეიტანა ახალი წინადადება ბერლინში ახალ კონფერენციის მოწვევის შესახებ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის წარმომადგენლებისაგან. კონფერენციამ უნდა იკისროს აღწერა და შეფასება გერმანიის ყოველგვარი სიმდიდრისა, რომელსაც გადასახადი უნდა დაედოს და აგრეთვე გერმანიის ფინანსების ბიუჯეტის, შემოსავლისა და განძეულობის კონტროლი.

რუმინეთი რუსეთის შესახებ.

ადესა. 22 იანვარი. რუმინელ გაზ. „ლუპტატორულ"-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „ჩვენ და რუსეთი". წერილში გატარებულია შემდეგი აზრი: „როგორც ჩვენ, ისე ტაკე იონესკუც მაინცა და მაინც დიდის თანაგრძნობით არ ეკიდება რუსეთის დღევანდელ მთავრობას. მაგრამ რუსეთის საბჭოთა რეჟიმის გამოცვლა ჩვენს ძალას აღემატება. ევროპა იძულებულია დღეს პირდაპირ, თუ არა პირდაპირ რუსეთის შინაურ საქმეთა ჩარევაზე ხელი აიღოს. ჩვენ კი დაგვრჩა მხოლოდ ერთად ერთი: შევურიგდეთ რუსეთში შექმნილ მდგომარეობას. ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენთვის აუცილებელი საჭიროებაა—რუსეთთან მეგობრობა, მასთან მშვიდობიანობა. ჩვენთვის სრულებით ხელსაყრელი არაა ახლო მტრის ყოლა და ისიც ძლიერი მტრისა. ეხლა, როცა ინგლისიც უკვე შეუთანხმდა რუსეთს ჩვენი ვალია რუსეთთან სასწრაფო სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება.

ინგლისის წინააღმდეგ გამოსვლა

ტრაპიზონი. 22 იანვარი. ინგლისელების მიერ დაკავებულ მესოპოტამიის ნაწილში სჩანს, რომ ინგლისის წინააღმდეგ ძლიერი მღელვარება იწყება. მუსლიმანებმა მოჰკლეს ინგლისის საინფორმაციო ბიუროს გამგე. დაკავებულ ყოველ ქალაქში ინგლისელები ახდენენ ფართე მასიურ ჩხრეკას. ჩხრეკავენ უმთავრესად მუსლიმან ინტელიგენციას. ჩხრეკის დროს უმთავრეს ყურადღებას აქცევენ სააგიტაციო ლიტერატურასა და წიგნებს.

რევოლიუცია ლიუქსენბურგში!

პარიზი. 22 აპრილი. გაზეთ „ჰუმანიტეში" ბიქტორ მერი სწერს, რომ ლიუქსენბურგში რევოლიუცია უკვე მოაწყვდა. საფრანგეთის მთავრობა, რომ არ ჩარეულიყო, უსათუოდ ძალაუფლებას მუშები ჩაიგდებდნენ ხელში. მუშათა მოძრაობის გამო ლიუქსენბურგში ფრანგებმა გააჩაღეს სასტიკი რეპრესიები: ქმნიან ტერორს. საქარხნო კომიტეტები ყოველგან გააუქმეს. ასახლებენ გერმანელ და იტალიელ სინდიკალისტებსა და კომუნისტებს.

რაზე მოილაპარაკეს პარიზში!

ბათუმი 9 მაისი. (ტელეგრაფით) პარიზში შემდგარ კონფერენციაზე მარშალ ფოშის, ინგლისის ამირბარ ბიტტის და საფრანგეთის ამირბარ გრასეს თანდასწრებით დადგენილია, რომ გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულების 260 პარაგრაფის შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა გადასცეს ანტანტას ყველა უფლება და ინტერესი, რომლებიც მას აქვს რუსეთსა, ავსტრიასა, უნგრეთსა, ბულგარეთსა და ოსმალეთში; ამაში შედის სამთო და სანავთო მრეწველობის წარმოება. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ ანტანტის საზღვაო დემონსტრაცია, რომელიც გამოიხატება ან გერმანიასადმი ბლოკადაში ან ჰამბურგის ოკუპაციაში ხმელეთის ჯარის მონაწილეობით, არ დააზარალებს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ვაჭრობას. ოპერაციებში მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის და ინგლისის ესკადრა. საფრანგეთის მიერ მიღებულია ცნობები, რომ 1919 წლის მობილიზაცია საფრანგეთში მშვენივრად მიმდინარეობს. იმავე ცნობებით ინგლისის ფლოტი ემზადება რა გერმანიის ნაპირის ბლოკადისათვის, იჩენს დიდს ენერგიას. ფოშის მიერ დასახულ გეგმით რურის ოლქის ოკუპაცია მოხდება მოკავშირეთა ყველა ძალით და მათ შორის საფრანგეთის დროშის ქვეშ ახლად გაწვეულ [illegible] ჯარის მონაწილეობით. საფრანგეთის პრესა გამოსთქვამს თავის სიხარულს ინგლისთან შეთანხმებისა და განსაკუთრებით ლოიდ ჯორჯის მოქმედების გამო. ლონდონის გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანია დამორჩილდება.

გერმანია-პოლონეთის დამოკიდებულებანი!

ბათუმი. 6 მაისი (დეპეშა) ბერლინიდან მოსული რადიო გადმოგვცემს გერმანია პოლონეთის დამოკიდებულობის გამწვავებას, რასაც მოჰყვება მთელი ევროპის მშვიდობიანობის დარღვევა. ფერენბახს კაბინეტი რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიაში განიხილავდა ზემო სილეზიაში გერმანიის ჯარებს გაგზავნის საკითხს გერმანიის ინტერესების დასაცავად და პოლონელთა აჯანყების ჩასაქრობად. მეორე სხდომაზე, რომელიც დღეს უნდა მოხდეს, გადასწყვეტენ საკითხს, შეიტანონ თუ არა შეკითხვა რეიხსტაგში. არმიის ნაწილებში პოლონეთთან ომი გადაწყვეტილად მიაჩნიათ. საყურადღებოა, რომ გერმანიის კაბინეტი, რომელიც თანამდებობიდან გადადგა, მოქმედებს როგორც დროებითი. სანამ არ შესდგება ახალი კაბინეტი, ადრინდელი კაბინეტი სწყვეტს ყოველგვარ საკითხს, რომელზედაც დამოკიდებულია ომი და მშვიდობიანობა.

ულტიმატუმი გერმანიისადმი

ნაუენი 7 მაისი, (რადიო). ბერლინში მიღებულია ანტანტის ულტიმატუმი. ამ ულტიმატუმით გერმანიას წინადადება ეძლევა 142 მილიარდი ოქროს მარკის გადახდის შესახებ და ირკვევა გადახდის პირობები. პოლიტიკური წრეები გაოცებული არიან ულტიმატუმის კილოთი. საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ მოლაპარაკების გაგრძელება უმიზნო იქნებოდა. ანტანტის ულტიმატუმის მოთხოვნა ართულებს ახალ კაბინეტის შედგენას. (გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ინფორმბიურო).

გერმანიაში გრძელდება კომუნისტური მოძრაობა.

ბათომი, 7 მაისი. (ტელეგრაფით). თუმცა კომუნისტური აჯანყება საქსონიაში არ იზრდება, მაგრამ, როგორც ბერლინიდან გვატყობინებენ, არ შეიძლება დაწყნარებულად ჩაითვალოს. ერთსა და იმავე დროს მომხდარი რევოლიუციონური შეტაკებები საქსონიაში და აჯანყების მოწყობის ცდა გერმანიის სხვა ნაწილებში ამტკიცებს, რომ ამ მოძრაობას ხელმძღვანელობს საერთო კომუნისტური ცენტრი.

ინდოეთში მოძრაობის ცეცხლი ვრცელდება.

ბათომი. 7 მაისი. (ტელეგ.). ლონდონიდან იტყობინებიან, ინდოეთში მომხდარ ახალ ამბოხებაზე, რომელიც თანდათან იზრდება.

ზემო სილეზიაში.

ნაუენი, 7 მაისი. (რადიო). ინგლისელები და იტალიელები პოლონელების წინააღმდეგ ერთად იბრძვიან. იტალიელებს მოუკლავს 42 კაცი და დაუჭრის 60. საფრანგეთის ჯარის წასვლის შემდეგ, კრეიცბურგის, როზენბურგის, და ლიუბლინის სოფლის მოსახლეობა თვითონ იცავს თავის თავს პოლონელებისაგან. მაღაროების წალეკვის გამო შეიქმნა სიმშილის საფრთხე ნახშირის სიმშილმა აიძულა გერმანელი მოსახლეობა გერმანიისთვის მიემართა სამხედრო დახმარებისათვის. გერმანიის რეიხსტაგი ჯერ ჯერობით გერმანიის ჩარევის წინააღმდეგია, რადგანაც ანტანტამ თავის იდვა ვალდებულება ზემო სილეზიაში წესრიგი აღადგინოს. ბერლინიდან მიღებულ ცნობებით პოლონეთის იერიშები ინგლის-იტალიის ჯარების მიერ უკუგდებულია დიდის ზარალით. პოლონეთის პრესტიჟი ძლიერ შეირყა ინგლისის და იტალიის [illegible] წინ პოლონელების მიერ გამართულ მტრულ დემონსტრაციებით. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ზემო სილეზიის რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ კარგათ შეიარაღებული პოლონური ნაწილები.

ახალი ცნობები პოლონელების აჯანყების შესახებ სილეზიაში.

ნაუენი. 7 მაისი. (რადიო). იტყობინებიან რატიბორში მომხდარ სისხლის მღვრელ შეტაკების შესახებ. ეს შეტაკება მოხდა ერთის მხრივ პოლონელებსა და მეორე მხრივ—იტალიელებსა და გერმანელების შორის. პოლონელები ესროდნენ გროსტრელიცს ტყვიის მფრქვევლებიდან. კრეიცბურგიდან ფრანგების სარდალმა გაიყვანა ჯარი, რადგანაც ქალაქში შეუძლებელი იყო გამაგრება. კატოვიცაში ფრანგების სარდალმა დიდი ენერგია გამოიჩინა. რიბნიკის რაიონში მდგომარეობა სერიოზულია. იტალიელებმა გერმანელების დახმარებით წაიწიეს რატიბორიდან რიბნიკისაკენ, და შეეცადნენ ქალაქის ხელში ჩაგდებას. მოლაპარაკების შემდეგ მოწინააღმდეგემ გადასწყვიტა დარჩენილიყო მდინარის მეორე მხარეზე.

ინგლისის სარდალი ტარნოპოლში იცავს ქალაქს, მიუხედავად პოლონელების მრავალი ცდისა, რომ ქალაქი დაეკავებინათ. პლესის რაიონის სამხრეთი ნაწილი აჯანყებულთა ხელშია. ამ რაიონის რამდენიმე ასეული გერმანელები მძევლებათ არიან წაყვანილი. გარეშე საქმეთა სამინისტრო შესაძლებლად სთვლის გამოაქვეყნოს 30 მძევლის სახელი. დაკავებულ რაიონებში აჯანყებულებმა დააწესეს თავისი ფოსტა და შემოიღეს საფოსტო მარკები. მოკავშირეთა მარკები კი მოსპეს ხმარებიდან.

პოლონელ აჯანყებულთა მოთხოვნა

ნაუენი 7 მაისი (რადიო) ვარშავიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ პოლონელ აჯანყებულებმა მიმართეს ლოიდ ჯორჯს ულტიმატუმის მოთხოვნით, რათა დაკმაყოფილებულ იქმნას პოლონეთის მოთხოვნილებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან ზემო სილეზიის სამრეწველო წარმოებათა განადგურებით ამასთან ერთად ინგლისის მაიორს შაპინცში გაეგზავნა ულტიმატუმი, რომელშიაც წამოყენებულია წარმოუდგენელი მოთხოვნილებანი.

(საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ინფორმბიურო).

ვარშავა. 6 მაისი, (რადიო). შრომის მინისტრმა იანკოვსკიმ სამსახურს თავი დაანება, რადგანაც მუშათა ეროვნულმა პარტიამ, რომლის წევრიც თითონ არის, განაცხადა თავისი სოლიდარობა აჯანყებულებისადმი. აჯანყებულთა ძალები იზრდება და რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს. იმ დეპეშაში, რომელიც გაგზავნა ლოიდ-ჯორჯსა და ბრიანს, სფორცამაც დიდის ამბით განაცხადა, რომ იგი ყოველგვარი ძალღონით სცდილობს შეაჩეროს მცხოვრებთა აჯანყება, მაგრამ ეს უკანასკნელნი—რიცხვით 300 000 კაცამდე თვითონ გამოვიდნენ. აჯანყების ხელმძღვანელმა კორფანტმა აჯანყებულთა მოთხოვნით განაცხადა, რომ მცხოვრებნი, რომლებიც ორი წლის განმავლობაში გერმანელებს ებრძოდნენ, არას დროს არ დასთანხმდებიან პრუსიელების უღელი დაიდგან და დამორჩილებას ურჩევნიათ ქარხნები და სახელოსნოები დახურონ. აჯანყების რაიონში, აჯანყებულთა და მოკავშირე ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებს. უკანასკნელებმა გერმანელი მოხალისენი გაიწვიეს. მაშინ როდესაც იტალიის და ინგლისის ჯარები ენერგიულად ებრძვიან აჯანყებულთ, საფრანგეთის ჯარები მხოლოდ მოგერიებით ტაქტიკას ადგიან.

ნაუენი. 5 მაისი. (რადიო). სამშაბათს, სიმონსმა რეიხსტაგს აუწყა ზემო სილეზიაში პოლონელთა აჯანყების შესახებ, ხიდების აფეთქების გამო შეწყვეტილია ქვანახშირის გადატანა არა მარტო გერმანიაში, არამედ იტალიაშიაც და ჩეხო-სლოვაკიაშიც. მსხვილი რეგულიარული სამხედრო ძალების არსებობა ჯერ არ არის დამტკიცებული, მაგრამ არის ნიშნები პოლონეთის მხრით გაძლიერებული სამხედრო სამზადისისა.

პოლონელთა აჯანყება სილეზიაში.

ვარშავა. 4 მაისი. (რადიო). პოლონეთის მთავრობამ გამოიწვია თავისი კომისარი კორფანტი, რომელმაც თავისი თავი ზემო სილეზიაში დიქტატორათ გამოაცხადა და მოწოდება გამოსცა მცხოვრებთა მიმართ. კორფანტმა მეამბოხეთა მთავარ სარდალს დაავალა საველე სასამართლო დაენიშნა. აჯანყებამ ზაბრის და ნაწილ გლეივიცის ოლქებისა მოიცვა ოპელნში ...(დამახინჯებულია) იარაღი დაჰყარეს. რკინის გზის მოძრაობა ბრესლავლიდან ზემო სილეზიამდე შესწყდა, რადგანაც მეამბოხეებმა ხიდები ააფეთქეს. საფრანგეთის ჯარებმა (დამახინჯებულია) ოლქში გაალაშქრეს აჯანყებულთა წინააღმდეგ და სამასი თოფი ჩამოართვეს. ვარშავაში პატრიოტული მანიფესტაციები გაიმართა. ინგლისის ელჩმა, მანიფესტანტების დეპუტატები არ მიიღო, რამაც გამოიწვია საწინააღმდეგო დემონსტრაცია.

ნაუენი. 9 მაისი. (რადიო). ნახევრათ ოფიციალურათ იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარების უფროსებმა ყველა რაიონებში მოლაპარაკება გამართეს აჯანყების მეთაურებთან. მოკავშირენი იმედოვნებენ, რომ მაღაროებში და სამრეწველო ოლქებში მუშაობა ნელ-ნელა განახლდება. გენერალი სილვანი მოლაპარაკებას აწარმოებს პოლონელებთან. ერთი იტალიელი ოფიცრის ცნობით, პოლონელები კარგათ არიან შეიარაღებულნი და საკმაოდ აქვთ ტყვიის მფრქვეველები. მათ მეთაურობენ პოლონელი ოფიცრები. ფრანგმა ოფიცრებმა გლეივიცში იარაღი აჰყარეს გერმანელ მოხალისეთ, რომლებიც შევიდნენ ჯარში საპლებისციტო კომისიის საშუალებით. გლეივიცი ისევე, როგორც ქალაქების უმეტესობა, გარშემორტყმულია აჯანყებულთა მიერ. ანტანტა ცდილობს გერმანელების მოწინააღმდეგეების განიარაღებას. საზოგადოთ, მცირე ყურადღებას აქცევდნენ პოლონელების შეიარაღებას, რადგან ფიქრობდნენ, რომ პოლონელები თავდასხმის მსხვერპლნი შეიქმნებოდნენ, თვითონ კი არას დროს არ დაიწყებდნენ პირველნი, თუმცა ომი ოფიციალურად არაა გამოცხადებული, გერმანელებმა სახელმწიფო ლაშქრის ოფიცრების ხელმძღვანელობით მაინც იერიში მიიტანეს ჯავშნიანი მატარებლით კრეიცბურგზე და ქალაქი აიღეს.

5,000 პოლონელმა ალყა შემოარტყეს ქალაქ კრეიცბერგს. ეს პირველი ცდაა გერმანელების მიერ, მოწყობილი აჯანყებულთა ხელში მყოფ ადგილის დასაბრუნებლათ.

კომუნისტთა გამარჯვებები გერმანიაში

ბათომი. 7 მაისი. (ტელეგ.) უკანასკნელი ცნობებით მდგომარეობა გერმანიაში გამწვავებულია, რასაც კავშირი აქვს კომუნისტების მოქმედებებთან, მოწფელდში, ვისლებენში და სხვ. კომუნისტებმა ხელთ იგდეს მოლიეს ქიმიური სამრეწველო, სადაც მოხალისეთა რევოლიუციონურ ჯარში ჩაწერა დიდის წარმატებით მიმდინარეობს.

იაპონია და ამერიკა.

ვლადივოსტოკი. 26 აპრილი. „შორეულ-აღმოსავლეთის" მიერ ლევის ცნობით იაპონიის ელჩს ობატას შემდეგი ინსტრუქცია მიუღია: ვინაიდან ახლო ხანებში მოსალოდნელია იაპონიასა და ამერიკას შორის სამხედრო მოქმედების დაწყება, რისი ნიშნებიც უკვე არსებობს, ხოლო იაპონიასა და ჩინეთს შორის მჭიდრო მეგობრული კავშირი მყარდება, ამიტომ ორივე მეზობელ სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ ეხლავე შეუდგნენ თავდაცვის მიზნით სათანადო საიდუმლო თადარიგს.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: ჰარდინგი დარწმუნებულია იაპონიასა და ამერიკას შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მშვიდობიანათ მოგვარებაში.

იაპონიის გაზეთები ხაზ გასმით აღნიშნავენ, რომ მიუხედავათ ინგლის იაპონიის შორის დადებული ხელშეკრულებისა, ამერიკის საწინააღმდეგოდ ინგლისი არას გზით არ გამოვა. თუ ვინიცობაა იაპონიასა და ამერიკას შორის ომი დაიწყო, ინგლისი აცხადებს, რომ ის დაიცავს სრულ ნეიტრალიტეტს, როგორც ეს მოიმოქმედა მან რუსეთ იაპონიის ომის დროს. ინგლისმა მხოლოდ ერთი რამ უნდა მოიმოქმედოს, მან უნდა მიიღოს ყოველი ზომა, რომ ჩინეთი არ ჩაერიოს იაპონია-ამერიკის ომში.

ქვანახშირის მრეწველობა რუსეთსა და ინგლისში.

მოსკოვი, 9 აპრილი. (რადიო). ინგლისში ვამჩნევთ ქვანახშირის ამოღების თვალსაჩინო შემცირებას ყოველთვიურად. ამავე დროს დონის ოლქში ქვანახშირის ამოღების საქმე თვალსაჩინოთ იზრდება. იანვარში ინგლისში ამოიღეს 19.000,000 ტონი ქვანახშირი. თებერვალში—17 მილიონი, მარტში—16, დონის აუზში ამა წლის იანვარში ამოიღეს 23 მილიონი ფუთი ნახშირი, თებერვალში 29 მილიონი ფუთი, მარტში 34. პირველ აპრილიდგან ინგლისში დაწყებული გაფიცვა ქვანახშირის ამოღებას არარაობამდე მიიყვანს, მხოლოდ დონის ოლქში ჩვენ მის თანდათან მატებას მოველით. ინგლისში აუარებელ საუკეთესო მანქანის, დიდ ძალი საქონლის და კურსათის დიდი მარაგის დროს ნახშირის ამოღება პირდაპირ ეცემა, ხოლო მუშები იძულებულნი არიან გაიფიცონ სიღარიბის გამო, ან და მათ ქუჩაში ერეკებიან მაღაროს მეპატრონეები. დონის ოლქში ნახევრად მშიერი და დაფლეთილი მაღაროში მომუშავენი ცუდ და დაცვეთილ მანქანებით მუშაობენ და მიუხედავათ ხელსაწყობების სიმცირისა, ბინის ცუდი პირობებისა, მაინც მედგრად ეწევიან თვიდან თვეზე ნახშირის ამოღების საქმეს. დონის მაღაროებში მომუშავენი მშიერნი არიან, მაგრამ თავისუფალნი მუშაობენ რესპუბლიკის მშრომელთა საკეთილდღეოდ, ხოლო ინგლისის მაღაროში მომუშავენი თუმცა მშიერები არიან, მაგრამ თავისუფლებას მოკლებულნი – ტყვიის მფრქვევლებით ერეკებიან მაღაროებში ბანკირთა სარგებლობისათვის.

ბრძანება № 10.

10 მაისი, 1921 წ.

ცენტრალურ საბინაო განყოფილებას მოსდის ცნობები, რომ ბევრი მოქალაქე, რომელსაც აუცილებელი საჭიროება აქვს ქალაქიდან გასვლისა, ამას ვერ ახერხებენ და გაურბიან. რადგანაც ქალაქში გავრცელებულია ხმები, რომ გასულებს ბინები ჩამოერთმევათ.

ვაცხადებ მოქალაქეთა საყურადღებოთ და ცენტრალურ საბინაო განყოფილების ქვემდებარე ყველა რაიონულ საბინაო განყოფილებათა და თანამშრომელთა სისწორით შესასრულებლათ:

1. რეკვიზიციისაგან განთავისუფლებულია ყველა იმ მოქალაქეთა ბინები, რომლებიც სამსახურისა გამო დროებით მივლინებული არიან საქართველოს რომელიმე კუთხეში ან საზღვარ გარეთ და ქალაქ თბილისიდან სამსახურით კავშირი არ დაუკარგავთ,

2. ყველა საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა და იმ მუშების ბინები, რომლებიც დროებით სოფლად იმყოფებიან (სათიბად, ოჯახური მდგომარეობათა გამო და სხვა ასეთი) აგრეთვე განთავისუფლებულია რეკვიზიციისაგან.

3. იმ მუშა-მოსამსახურეთა ბინები, რომლებიც საავადმყოფო არიან წასულნი ან მომავალში წავლენ, მასწავლებლების, სტუდენტების და მოწაფეების მიერ დაკავებული ბინები და ოთახები ყოველ მიზეზის გარეშე მათ ენარჩუნებათ და რეკვიზიციისაგან განთავისუფლებულია.

4. ყოველი მოქალაქენი, რომელიც დროებით ბინას სტოვებენ ზემოთ დასახელებულ მიზეზებისა გამო, ვალდებულია შესაფერისი წერილობითი განცხადება შეიტანოს თავის სახლის კომიტეტში და აღნიშნოს ოჯახის წევრთა რაოდენობა. როდესაც მოქალაქე სამსახურის მივლინებაში მიემგზავრება, განცხადებაში უნდა აღნიშნულ იქმნას ნომერი და თარიღი ბრძანებისა, რომლის თანახმად ის იგზავნება მივლინებაში.

ყოველი მოქალაქე და ცენტრალურ საბინაო განყოფილების თანამშრომელი, რომელიც დაარღვევს ამ ბრძანებას და მოისურვებს ისარგებლოს შემთხვევით საპატიო მიზეზების გამო დროებით ქალაქიდან გასულების ბინის დაჭერით, დასჯილი იქნება რევოლიუციონურ დროის კანონების მიხედვით, ხოლო უკანონოდ დაკავებული ბინიდან დაუყონებლივ გამოსახლებული.

ცენტრალურ საბინაო კოლეგიის თავმჯდომარე **ხ. მეგრელიშვილი.**

პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა საქართველოს წითელ ლაშქარში.

მამაცი, დისციპლინით განმტკიცებული, პოლიტიკურად მომზადებული და გაწვრთნილი საქართველოს წითელი ლაშქრის ნაწილების შექმნის საკითხი, სდგას რესპუბლიკის გადაუდებელ საქმეთა დღიური წესრიგის პირველ რიგში.

ჩვენი სამხედრო აღმშენებლობის არსებითი კითხვების სწორი და მიზანშეწონილი გადაჭრის ძირითადი პირობა არის დაუყოვნებლივ:

დაარსდეს ცენტრალ პოლიტიკურ განმანათლებელი ორგანოსი, რომელსაც დაევალება ორგანიზაცია და მთელი კულტურულ-პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობის მოწყობა საქართველოს წითელი ლაშქრის ნაწილებში.

მივაქცევთ რა ყურადღებას წითელ ლაშქარში პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობის უდიდეს მნიშვნელობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ წითელი ლაშქარი მით არის ძლიერი, ძლევამოსილი და მით განსხვავდება ძველ და ბურჟუაზიულ ქვეყნების ყველა სამხედრო ძალებისაგან, რომ მას ღრმად აქვს შეგნებული თავისი რევოლიუციონური მოვალეობა, თავისი უფლება, ხოლო ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ძალთა დისციპლინა აგებულია შიშზე და ბრმა დამორჩილებაზე; საქართველოს ძველი მენშევიკური ლაშქარი, ბურჟუაზიის იმედებით წაქეზებული, აღნიშნულ საფუძვლებზე იყო აღზრდილი, და მისი მიზნები, აგრეთვე აშკარად ეწინააღმდეგებოდა მშრომელი მასების ინტერესებს; როგორც ასეთი, მენშევიკების სამხედრო შენობა პირველი დაკვრისთანავე უნდა დანგრეულიყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით ძველი არმია დაიშალა.

საქართველოს ახალი მუშურ გლეხური წითელი ლაშქარი, შექმნილი რევოლიუციონურ მონაპოვართა დასაცავად, უპირველესად ყოვლისა უნდა განიმსჭვალოს რევოლიუციონური მოვალეობისა და თავისი უფლებების ღრმა შეგნებით, და მტკიცედ დადგეს მშრომელთა ხალხის საერთო ინტერესების სადარაჯოზე. მნიშვნელოვანი რიცხვი მშრომელთა შეგნებულ და დარაზმულ ელემენტებისა საქართველოს წითელ ლაშქარში, არის საუკეთესო საწინდარი მისი სიმტკიცისა, ძლიერებისა და წარმატებისა.

პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობასთან ზემოაღნიშნული მიზნით დაარსებულმა სამხედრო განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაოს თავისი მუშაობის გეგმა საქართველოს წითელ ლაშქარში და შეუდგეს მის სასწრაფო განხორციელებას.

ასი ათასმა ქართველმა მუშამ და გლეხმა, რომელიც თანახმად სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარის ბრძანებისა უნდა დაბრუნდნენ წითელ ლაშქარში, პირველ დღიდანვე უნდა შეჰგნოს თავისი მჭიდრო და განუყრელი კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასთან, შეითვისოს წითელი ლაშქრის განსხვავება და იდეური უპირატესობა ყველა სხვა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნების სამხედრო ძალებთან შედარებით.

მხოლოდ ასეთი ლაშქარი, საქართველოს წითელი ლაშქარი, გამსჭვალული მთლიანი რევოლიუციონური შეგნებით თავისი ძლიერების ღრმა რწმენით, უზრუნველყოფს მოპოებულ, პოლიტიკური ხელისუფლების სიმტკიცესა და ქვეყნის ურყევ მდგომარეობას.

დ. ბზიავა.

საზღვაოსნო სასწავლებლის გარშემო

სამი წლის წინათ ქ. ფოთში გახსნილ იქნა საზღვაოსნო სასწავლებელი, მაგრამ საუბედუროდ სასწავლებელი თავის ნიადაგზე არ იდგა, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ერთად ერთი სპეციალური სასწავლებელი საქართველოში და დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა, რადგანაც საქართველოში ძლიერ ცოტა იყო სპეციალისტი მეზღვაურები. მენშევიკური მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ გახსნა სასწავლებელი, მოიწვია მასწავლებლები და ამით გაათავა. მასწავლებლები და მოწაფეები ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობდა, რათა სასწავლებელი თავის ნიადაგზე დაეყენებინა. მაგრამ რას გახდებოდენ, როდესაც ყოველ მხრიდან ხელს უშლიდნენ. მტრები ბევრი იყო, ჩვენ კი ცოტა. არ მოსწონდა ეს სასწავლებელი სამხედრო ფლოტის შემადგენლობას, „სამოზვანცები", რომლებიც უბრალო მატროსობიდან უცბად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან თავის თავიც კაპიტნებათ და კომანდირებათ გამოაცხადეს და არ სურდათ, რომ საზღვაოსნო სასწავლებლიდან გამოსულიყო ისეთი მეზღვაურები, რომელნიც მათ დაჩრდილავდა, ამიტომ ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდნენ ამენაირად სასწავლებელი დაეხურათ. არა ერთხელ და ორჯერ აფრინეს თბილისში ბ. თაყაიშვილი სხვადასხვა განჩხრენებით, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, სასწავლებელს ვერ ხურავდნენ და საქმეს კი მაინც გვიფუჭებდნენ.

როგორც იქნა, ერთი წლის შემდეგ მოგვცენ ერთი სამოსწავლო დიძალი გემი, რომლის შეკეთებას მილიონები უნდოდა. აბა საიდან უნდა გაგვეკეთებია ჩვენ გემი, თუ მთავრობა დახმარებას არ მოგვცემდა. მილიარდები იხარჯებოდა და იფლანგებოდა სხვადასხვა ავანტიურისტების მიერ და სასწავლებლისთვის კი გროშიც ენანებოდათ. ასეთი იყო მოკლეთ საქმის ვითარება. მაგრამ ჩვენ იმედს მაინც არ ვკარგავდით, მიუხედავათ იმისა, რომ სამოსწავლო გემი არ გვყავდა, სხვა კერძო გემებზე ვიძენდით პრაქტიკას. ვინ ჩამოთვლის იმ ვაივაგლახს და დაცინვებს, რომელნიც ჩვენ გადავიტანეთ. რას არ გვიწოდებდნენ და ვეუბნებოდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვქონდა, რომ ოდესმე ჩვენთვისაც ამოანათებდა მზე. და მართლაც ჩვენმა ტანჯვამ ტყუილად არ ჩაიარა. დაჰკრა ზარმა და ყველაფერი შეიცვალა. რას ვხედავთ დღეს: ის ვაჟბატონები, რომლებიც ჩვენ გვთელავდნენ, დღეს აღარ თარეშობენ როგორც იყო ეს ერთი თვის წინად, ვეღარ ვყურობთ ეხლა მათ საძაგელ ხმას. რა იქნა ეს ბატონები, სად მიიმალნენ? გაიქცნენ იქით, საიდაც მათი მთავრობა გაიქცა, ან და რას მოუცდიდნენ, რა რჩებოდათ აქ, რა პირით უნდა დარჩენილიყვნენ, გაიტანეს ხალხის ქონება, დატვირთეს გემები და გაუდგნენ გზას. აგრეთვე არ ჩამორჩა მათ სასწავლებლის უფროსიც, იმანაც მიატოვა მოწაფეები ღვთის ანაბარა ქ. ბათომში და გაიპარა, გაიპარა უსირცხვილოდ, არც კი დამშვიდობებია მოწაფეებს, თან წაიღო, თუ რამე ჰქონდა სასწავლებელს კარგი: ძვირფასი კომპასები, სექსტანტები და სხვა ასეთები. დარჩა სასწავლებელი, მაგრამ რას ვხედავთ? სასწავლებელს დღეს ყველა ხელ-გაშლილი ეგებება, საუკეთესო შენობა მიუჩინეს ბათომში, დაუნიშნეს სასწავლებლის უფროსად ძველი მეზღვაური კაპიტანი ჰ ვეკუაძე, დაარსეს პანსიონი და ყველაფრით უზრუნველჰყვეს სასწავლებელი. როდესაც მენშევიკების ხელში სასწავლებელს თავის ბინა არ ჰქონია და ხან ქალთა გიმნაზიაში იყო მეცადინეობა ღამით და ხან ქალაქ გარეთ ზღვის პირად მაიაკში, სადაც წვიმების შემდეგ ეშმაკიც ვერ გავიდოდა.

და ჩვენ საზღვაოსნო სასწავლებლის მოწაფეები გულგაშლილი და აღფრთოვანებით [illegible] დღეს მადლობას ვუცხადებთ იმ უფროს ამხანაგებს, რომლებმაც ჩვენ ხელი გამოგვიწოდა და ჩვენც ვფიცავთ, რომ დავამტკიცებთ ჩვენს ერთგულებას და დავიცავთ საბჭოთა საქართველოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ისეთ ბარბაროსებიდან, რომელნიც ამდენ ხანს იჯდა სათავეში და სისხლს სწოვდა მუშათა კლას, რადგან ჩვენ ვიცით, თუ ვინ არის მუშათა კლასის ინტერესების დამცველი.

— **ახალი მეზღვაური.**

ქრონიკა

◆ **ამხ. ს. ქავთარაძის დანიშვნა.** საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლ. მაისის 4-ს დადგენილებით, ამხ. სერ. ქავთარაძე დანიშნულია ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთ.

—**მილიციაში.** ქალაქის რევკომს წარედგინა მოხსენება 25 თებერვლის შემდეგ ქალაქ თბილისის მილიციის მოქმედების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასწრაფო და საჭირო გახდა მილიციის თანამშრომლების სრული კადრის შედგენა. ამ ჟამად მილიციის შემადგენლობა სრულიად განახლებულია ამ ხნის განმავლობაში სრულიად მოეწყო სამილიციო უბნები და მათი გამგეობა. მიღებულ იქნა ქონება მენშევიკების მთავრობისაგან რომ დარჩა. მილიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს აურებელი ბოროტ-მოქმედება, ბევრი მავნე პირი დაატუსაღეს და სხვ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ ჟამად მილიცია მოწყობილია სრულიად და თავის მოვალეობას ასრულებს ნორმალურათ.

◆ **საბინაო განყოფილებაში.** საქალაქო რევკომის ცენტრალურ საბინაო განყოფილებასთან საქართველოს რევკომის ბრძანებით დაარსებულმა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა და წარუდგინა საქართველოს რევკომს დასამტკიცებლად ცენტრალურ საბინაო დაწესებულებების და მის განყოფილებათა დებულების პროექტი და ინსტრუქცია ყველა საბინაო განყოფილებებისათვის.

◆ **მუშათა მაგიდა.** სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა ქალაქის რევკომს გამოგზავნოს სასურსათო კომისარიატში იმ კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა, რომელთაც არ შემოუტანიათ მუშათა მაგიდაში 15 ათასი მანეთი გადასახადი, რათა გადაახდევინონ ეს ფული.

◆ **შემწეობა მწერლებსა და არტისტებს.** საქართველოს ს. ს. რ. რევკომმა ერთდროული დახმარება მისცა პოეტს შიო მღვიმელს 100,000 მ. არტისტ ქ. ყიფიანის დასაფლავებისათვის დამატებით მისცა 100,000 მანეთი.

◆ **წარმოდგენები სახალხო სახლში.** სახალხო სახლში დღეს, 12 მაისს, წარმოდგენილი იქნება ქართულად მოლიერის ცნობილი კომედია „ტარტიუფი", შაბათს, 14 მაისს, გედევანიშვილის „მსხვერპლი"-ს 1 და 3 მოქ. და ცაგარლის „ჭკუისა-ზერს" 1 მოქ.

ხელოვნება

ქართული „სატირ აგიტ"-ის თეატრის გახსნა.

ოთხშაბათს, 4 მაისს, გაიხსნა ქართული სექციის თეატრი „სატირ-აგიტი". საქართველოს მშრომელი მასები, რომელნიც საუკუნის უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში რევოლიუციონურ მოძრაობის ავანგარდში დგანან, რევოლიუციონურ სატირის და აგიტაციის თეატრისათვის მგრძნობიარე და გამკითხავ აუდიტორიას ჰქმნიან. შეიძლება არსად, როგორც ქართულ თეატრში, არ ეჩნევა შეკავშირება ხალხისა სცენასთან. ერთსულოვნება რევოლიუციონურ აღფრთოვანების შექმნაში და აგრეთვე მგრძნობიარობისა და კრიტიციზმის შეგნება. ეს აიხსნება მუშათა მასების რევოლიუციონური აღზრდით და აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ქართული თეატრი ჯერ კიდევ ცხოვრების დემოკრატიზაციის პრინციპის გამარჯვებამდე დიდად დემოკრატიული და საქართველოს კულტურული ცხოვრების იდეური ორგანო იყო. ჯერ კიდევ მეფურ დესპოტიზმის დროს საქართველოს თეატრი იყო ერთი იმ სამჭედლოთაგანი, სადაც იჭედებოდა მშრომელთა რევოლიუციონური შეგნება და სადაც მაყურებელნი მეტ ყურადღებას აქცევდნენ არა იმას, თუ როგორ ასრულებდნენ, არამედ იმას, რასაც ამბობდნენ და ლაპარაკობდნენ. ქართველ მუშას ყოველთვის აინტერესებდა იდეა და არა ფორმა. ამიტომაა, რომ რევოლიუციონური საგიტაციო თეატრი მშრომელ ქართველისთვის ასე საჭიროა და ძვირფასია. ქართულ თეატრ „სატირ-აგიტ"-ის პირველი პროგრამა დიდად მრავალფეროვანი იყო. კარგი იყო მინიატურა „კეპი", ასურეთის დედოფალი და „სასაფლაო". დასი ქართულ თეატრის საუკეთესო ძალებისაგანაა შემდგარი. საჭიროა მხოლოდ ყურადღება მიექცეს ვოკალურ ძალების გაუმჯობესებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ წარმოდგენებში მეტი ორიგინალობა იქმნება, მით უმეტეს, რომ ქართულ მწერალთა შემოქმედ ძალებში ნაკლულევანება არაა

პროფესიონალურ კავშირებში

საქართველოს პროფკავშირთა თათბირი.

ხუთშაბათს 5 მაისს სალამოთი პროფკავშირებთა მდივნის კაბინეთში შესდგა საქართველოს პროფკავშირთა თათბირი.

წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი კავშირები. ადგილობრივ თბილ. სატრანსპორტო კავშირებიდან—1) ივანიშვილი, ფოთის პროფბიუროდან—2) ი. სიხინავა, ტყიბულის პროფბიუროდან—3) ს. კუბლაშვილი, ჭიათურის კავშირებიდან—4) მ. აბაშიძე, ადგილობრივ თბილ. საბჭოთა მოსამსახურეებიდან—5) შარიკიანი, რკინის გზის კავშირიდან—6) ელბაქიძე, „ხელოვნების მუშაკთა" კავშირისაგან—7) არუთინოვი, კომუნალურ მეურნეობის კავშირისაგან—8) შირიაევი, მელითონეთაგან—9) ნ. კაკაძე, სენაკის კავშირთა ბიუროსაგან—10) შუშანია, ბათომის კავშირებისაგან—11) სპერანსკი, გორის კავშირებისაგან—12) ხაბუცკი, ოზურგეთის კავშირებისაგან—13) ხომერიკი.

თათბირი გახსნა პროფკავშირთა პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ოდილავაძემ.

თათბირი დაიწყო ინფორმაციული მოხსენებების წარმოდგენით. ისინი აცნობებდენ სხდომას, თუ რა გაკეთდა კავშირის აღდგენა—მოწყობის და მისი ახალი სისტემით გადამუშავების მხრივ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

გაკეთებულ მოხსენებებიდან ირკვეოდა რომ ბევრ ადგილას, სადაც მათ დიდი დაბრკოლებები არ ელობებიან წინ, ამხანაგებს არ დაუზოგავ ენერგია და საბჭოთა რესპუბლიკის ყველაზე საიმედო ყავარჯენი, პროფესიონალური კავშირები, მოეწყოთ, ხოლო ზოგან ისე დიდი ყოფილიყო დაბრკოლებელი მიზეზები, რომ საკმაოთ შეუფერხებია მისი მოწყობა. ჯერ ჯერობით შექმნილა მხოლოდ ჩანასახი ამ ორგანიზაციისა.

მიუხედავად ზემოდ თქმულისა. მოხსენებები საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. მოხსენებებიდან სჩანდა, რომ ამ მხრივ მუშაობის გაჩაღებას ამხანაგები ფხიზლად მონდომებით მოეკიდნენ უკვე პროვინციებში და იმედია, რომ ახლო მომავალში ეს სასურველ შედეგს გამოიღებს.

ფოთის წარმომადგენელმა ამხ. **სიხინავამ** აგრე დაასრულა თავისი მოხსენება: —...გაქცეულ მენშევიკების განზრახვა რომ ადგილობრივი პროფკავშირებისა და სახელმწიფო ქონება გაეტაცათ—ჩვენ ჩავშალეთ; ფოთის მუშების სიფხიზლემ მათ მოუსპო საშუალება ეს მტაცებლური განზრახვა სისრულეში მოეყვანათ. მათ ვერ გაიტანეს ფოთიდან ვერაფერი... პროფკავშირთა ორგანიზაციები ჩვენ ყოველგან აღვადგინეთ; თუ გვიშლიდა რამე ხელს, ეს ის, რომ არა გვქონდა შესაფერი ინსტრუქციები, გვ შლიდა კიდევ ხელს შესაფერო შენობის უქონლობა.. ჩვენ გავაჩაღეთ უკვე შემოქმედებითი ხასიათის მუშაობა; ჩვენ ვასწორებთ არა თუ მარტო საკუთარი, რესპუბლიკის გემების შეკეთებას, არამედ რუსეთიდან მოსულ წამიდარ გემებისაც.

ბათომიდან გაკეთა მოხსენება ამხ. **სპერანსკიმ.** მან აღნიშნა კავშირთა გადადგმული ნაბიჯები როგორიც არის მუშათა სასადილოების გახსნა, ბაღ-მოედანების მოწყობა; ხაზი გაუსვა მან განსაკუთრებით ამხანაგების ამ მხრივ ენერგიულათ მუშაობას და დაასკვნა: შეგიძლიათ იქონიოთ სრული იმედი, ამხანაგებო რომ ჩვენ ბათომის მუშები, არ ჩამორჩებით სხვებს, ჩვენს წინაშე მოვალეობას კომუნისტური წყობილების შენების საქმეში პირნათლათ შევასრულებთ.

მოხსენებები დასრულდა.

შეკითხვებზე პასუხების მიცემის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თათბირი დაიხურა და მისი გაგრძელება შემდეგი დღისათვის დაინიშნა.

6 მაისი.

სხდომა გახსნა პროფკავშირების მდივანმა ამხ. გ. ყურულიშვილმა იმავე თავის კაბინეთში.

აქ პირველად გამოვიდა ამხ. გ. ყურულიშვილი, მან გააკეთა მოხსენება—პროფკავშირის ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ, იგი შეეხო წარმოების პრინციპზე პროფკავშირების აგებას, და მიუთითა თათბირს პროვინციებშიაც კავშირების ასეთივე პრინციპებით აგების საჭიროებაზე. ახლო მომავალში ჩვენი ყურადღება უნდა იქმნას მიქცეული პროფკავშირთა შინაური ორგანიზაციების მოწყობაზე—განაგრძო მან—პროფკავშირებმა თავისი შინაგანი მუშაობა უნდა აღზრდონ მით, რომ ხშირ ხშირათ გამართონ საერთო კრებები, გააცნონ კავშირის წევრებს მიზანი პროფკავშირებისა, ახსნან, განმარტონ ამ კავშირთა შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელობა, მისი ხასიათი; დაუახლოვდნენ, გააბან ამით მათთან სულიერი კავშირი, და ამის შედეგი კი ის იქნება, რომ ჩვენ შეგვეძლება ყოველ დროს, ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელ კონტრ რევოლიუციონური ხასიათის გამოსვლებს წინააღვუდგეთ, ჩავაქროთ, ძირშივე ჩავკლათ.—აქ იგი გადავიდა პროფკავშირთა დანიშნულებაზე და სთქვა:

ჩვენ პროფკავშირებს და მასგან დასახულ მიზანს არაფერი საერთო არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს წინანდელი მენშევიკების დროს არსებულ კავშირებთან; ჩვენი კავშირების წმინდა დანიშნულებას შეადგენს—კაპიტალიზმიდან განთავისუფლებული შეკავშირებული მუშები შეაჩვიონ კომუნისტურ შრომას, შეაჩვიონ შრომის დისციპლინას.

აი ამ მუშაობის დროს ჩვენ სხვათა შორის არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ შექმნილ მძიმე პირობებში ჩვენ მოგვიხდება არა მარტო შენება, არამედ სწავლაც კიდევ შენების პროცესში, და ამისთვის უნდა ვიყოთ მზათ, ამხანაგებო.

დასასრულ მან მიუთითა ამხანაგებს ადგილობრივად კონფერენციების მოწვევის საჭიროებაზე, რომელიც ნიადაგს უმზადებს მთელ საქართველოს პროფკავშირების ყრილობას. პროფკავშირების მოწყობა ყოველგან; ადგილობრივ კონფერენციების შემდეგ მზადდება საერთო, რესპუბლიკის მასშტაბით, ყრილობის მოსაწვევათ.—აი ჩვენი მოქმედების მახლობელი მიზანი.—რაც არ უნდა მოხდეს, ყრილობა მოწვეული უნდა იქმნას არა უგვიანეს ივლისისა. ამ ხანებში მოგვისწრებს კიდეც რუსეთში პროფკავშირების ყრილობაზე გაგზავნილი ამხანაგები, დაასრულა მან.

პატარა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირი დაიხურა.

სევასტი

მუშათა ცხოვრება

ქალ. თბილისის ბანკის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ყოფილ სახელმწიფო ბანკის შენობაში შესდგა ქალ. თბილისის ბანკის მუშა-მოსამსახურეების ჯგუფის კრება, რომელნიც თანაუგრძნობენ კომუნიზმს. დამსწრეებმა მოისმინეს ამხ. სტეფანოვის მოხსენება კომუნისტების მოვალეობის და იმ სიძნელეთა შესახებ, რომელთაც მათ უხდებათ შეხვედრა იმის გამო, რომ ისინი მონაწილეობას ღებულობენ ხოლმე ყოველივე მძიმე მუშაობაში. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე „კომიაჩეიკის“, კლასთა ბრძოლის, წითელ ლაშქრის და საერთოდ კომუნისტურ პარტიის მიზნების მნიშვნელობაზე. მოხსენების შემდეგ დაკითხეს ყველა იქ დამსწრეს, რათა გამოერკვიათ მათი რევოლუციონერობა და თანაგრძნობა კომუნისტურ პარტიისადმი საქართველოში გადატრიალების მოხდენამდე. საორგანიზაციო ხასიათის დადგენილებათა შემდეგ გადასწყვიტეს მომავალ კრების უწყებაში დასვან შემდეგი საკითხი: „ამხანაგების გაცნობა პარტიულ აღმშენებლობასთან“.

პროვინციაში

პირველი მაისის დღესასწაული ქ. სიღნაღში.

ბუნებამ საუკეთესოთ შეუწყო ხელი, გაზაფხულის მხურვალე სხივებიანი დღით, ბრწყინვალე დღესასწაულს მშრომელი ხალხისას, პირველ მაისს!

ქალაქი მორთული იყო დროშებით, ყველა ადგილობრივი დაწესებულებანი და მოედანი კიოსკებით, წითელი ბაირაღებით და კომუნისტური პარტიის ბელადების სურათებით. დილის 8 საათ. ადგილობრივი დაწესებულებანი: კომპარტია, კომსომოლი, პროფ. კავშირების ამქრები, მოსწავლე ახალგაზრდები და ბავშვები, სამხედრო ნაწილი, მოქალაქენი თავს იყრიან თავისუფლების მოედანზე. აქ 9 საათზე იხსნება აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მე-18 „კავ. დივიზიის“ 400 წითელ არმიელი. აღლუმს იღებენ მე-18 „კავ. დივიზიის“ უფროსი და სამხედრო კომისარი, ს. კ. პ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი, სამაზრო რევკომის თავმჯდომარე და სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარი. აღლუმის შემდეგ პირველ მაისის სადღესასწაულო კომისიის წევრი ვ. ხირსელი ხსნის მიტინგს, და მესამე კომინტერნალის სახელობის კლუბის აივნიდან, მოკლე სიტყვით მიესალმებიან დღესასწაულის მილოცვით დამსწრე საზოგადოებას: მე-18 „კავ. დივიზიის“ სახელით ამხ. ქლობა და სამხედრო კომისარი ამხ. ანდრეევი ს. კ. პ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტის სახელით ნ. იორამიშვილი, სიღნაღის სამაზრო რევკომის სახელით გ. თოლჩიშვილი, კომსომოლის და გრუკავროსტის სახელით ვ. ხირსელი. საზოგადოება მათ მისალმებას მიეგება მხურვალე აპლოდისმენტით და ვაშას ძახილით. თავისუფლების მოედნიდან დემონსტრაცია, ინტერნაციონალის დაკვრით და სიმღერით გაემართა ქალაქის განაპირა უბნისკენ (ნუკრიანისკენ). ბავშვები მორთულ ავტომობილებით დაფრინავდენ ქალაქის ყველა კუთხეებში. ნუკრიანი ეს ის უბანია, სადაც სცხოვრობს უმეტესი ულარიბესი ნაწილი მოქალაქეთა. აქ უკვე დილიდანვე შეკრებილი აუარებელი ხალხი გულმოდგინეთ და აღტაცებით მოელოდა მშრომელი ხალხის განთავისუფლების წინამორბედთ, რათა გაეგოთ მათგან საიმედო სიტყვები და ღირსეულად ჩაეტარებინათ, დღეს პირველად მათთან ერთად, ბრწყინვალე დღესასწაული.

ნუკრიანის ერთ ფართო მოედანზე გაიშალა დემონსტრაცია. აუარებელი რიცხვი იყო დამსწრე საზოგადოებისა, გაიხსნა მიტინგი და ორატორებმა ვრცლად გააცნეს საზოგადოებას სხვა და სხვა გვარი პოლიტიკური საკითხები და მიესალმენ მათ პირველ მაისის მილოცვით და ხალხის გამცარცველ მენშევიკებისაგან განთავისუფლებით. მიტინგი დასრულდა ორ საათზე და ხალხი დიდით კმაყოფილი დაიშალა.

ბავშვებისთვის მოწყობილი იყო უფასო სადილი. ვინაიდან ბავშვების რიცხვი შეადგენდა დაახლოებით ორასამდე სულს და ამდენისთვის არ მოიპოვებოდა შესაფერი სასადილო, ამისათვის მათთვის სადილი გამართული იყო სასწავლებლის შენობაში, სადაც ბავშვებმა გარდა სადილისა მიიღეს საჩუქარი სხვა და სხვა ხილეულების სახით. საღამოს 4 საათზე დაიწყო საბავშვო წარმოდგენა კონცერტი რომელსაც დაესწრო გარდა მცირე წლოვან ბავშვებისა აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობა. წარმოდგენამ და კონცერტმა ჩაიარა საუკეთესოთ.

საღამოს 4 საათზე მე-3 კომინტერნალის სახელობის კლუბში შესდგა სადღესასწაულო საზეიმო სხდომა სიღნაღის სამაზრო რევკომისა ს. კ. პ. სიღნაღის სამაზრო კომიტეტისა და პასუხისმგებელ თანამშრომლებისა მე 18 კავ. დივიზიისა.

სხდომას ხსნის ამხ. იორამიშვილი, რომლის წინადადებით არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი აღნიშნულ სხდომისა 7 ამხანაგისაგან ამხ. ბავინ, ანდრეევი, თოლჩიშვილი, ქლობა, იორამიშვილი, სმირნოვი და სტეპანოვი. თავმჯდომარეთ უმეტესი ხმით არჩეული იქმნა ამხ. ქლობა, მდივნათ სტეფანოვი.

1) მოხსენება გააკეთა ამხ. ანდრეევმა. მან შეადარა რუსეთის, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს პროლეტარიატის მდგომარეობა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან, რომელიც დღემდის ვერ განთავისუფლდა ბურჟუაზიულ კლასის ბორკილებიდგან, და რომელიც პირველ მაისს დღესასწაულობს არა ისე თავისუფლად, როგორც ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ ისევ ბურჟუაზიულ მთავრობის და კაპიტალისტების შიშის ქვეშ.

რომ პროლეტარიატი საბჭოთა რესპუბლიკების საჭირო და სათანადო დროს წავა მათთან და დაეხმარება ექსპლოატაციის და ბურჟუაზიულ კლასის მონობისაგან განთავისუფლებაში.

ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს!

2) მოხსენებას აკეთებს ამხ. სტეპანოვი: იგი აღნიშნავს გერმანიაში და სხვა სახელმწიფოებში დაწყებულ კომუნისტურ რევოლიუციას, რომელიც აღგვის დედამიწის პირიდან კაპიტალისტურ საზოგადოებას და მოსპობს ექსპლოატაციას, გამოსთქვამს იმედს, რომ ახლო მომავალში დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი ჩვენთან ერთად და ჩვენსავით თავისუფლად იდღესასწაულებს საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულს 1 პირველ მაისს. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს და ამხანაგების აპლოდისმენტი უერთდება ინტერნაციონალის ჰიმნს!

მოისმინეს რა მოხსენება ამხანაგ ანდრეევისა და სტეპანოვისა საზეიმო სხდომამ დაადგინა: პროლეტარიატი საბჭოთა რესპუბლიკებისა უძღვნის სალამს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს და გამოთქვამს იმედს, რომ იგი ახლო მომავალში მოსპობს კაპიტალისტურ წესწყობილებას და ისიც ისევე თავისუფლათ იდღესასწაულებს პირველ მაისს, როგორც დღეს ჩვენ.

ვინაიდგან პირველ მაისის სადღესასწაულო კომისიის მიერ კომინტერნალის კლუბში სადაც მიმდინარეობდა სხდომა, დანიშნული იყო წარმოდგენა, ამისათვის დანარჩენ ამხანაგების მოხსენება გადაიდო შემდეგ სხდომისთვის რომელიც უნდა მოხდეს მახლობელ დღე.

საღამოს 8 საათიდან დაიწყო წარმოდგენები: სომხურ ენაზე კომინტერნალის კლუბში, „მაშტი იბად“, ქართულ ენაზე, ახალ სცენაზე „დამარცხებული“, რუსულ ენაზე ყოფილ ქართულ კლუბში „ბრძოლა თავისუფლებისათვის“. წარმოდგენებს დაესწრო საკმარისი საზოგადოება და ჩატარდა შესაფერისათ. ამით დაბოლოვდა პირველ მაისის დღესასწაული ქ. სიღნაღში.

მეორე დღეს ვინაიდგან ყველა პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგები თავისუფლები იყვნენ თანამდებობიდგან, როგორც უქმე დღით, გაემგზავრნენ სოფლებში სხვა და სხვა მიმართულებით დღესასწაულის მისალოცათ. თუმცა უკვე წინად წინვე იყვნენ გაგზავნილი ამხანაგები სოფლებში საადგილმამულო კომიტეტების მოსაწყობად და ამავე დროს მათვე ევალებოდათ დარჩენილიყვნენ პირველ მაისს ადგილობრივ სოფლებში და ჩაეტარებინათ დღესასწაული.

თითქმის ყველა რაიონებში მეორე დღით მოაწყეს სიღნაღიდან წასულმა ამხანაგებმა შესაფერი მიტინგები, რომელზედაც აუარებელი ესწრობოდა ხალხი.

საერთო შთაბეჭდილება პირველი მაისის დღესასწაულმა დასტოვა საუკეთესო და დაუვიწყარი ყველა პატიოსან მოქალაქეთა გულში.

მდივანი: ნ. იორამაშვილი.

საინფორმაციო განყოფილების გამგე: გ. მესტიაშვილი.

სოფ. წყემი.

პირველი მაისის მნიშვნელობა ქალაქის მუშებისათვის ცნობილია და ამ დღეს ისე სთვლის, როგორც საკუთარ მუშათა დღეთ. მაგრამ პირველი მაისის დღეს, ქალაქის მუშებთან ერთად საკუთარი დღეთ სთვლის სოფლის შეგნებული და მუშათა ცხოვრებით დაინტერესებული გლეხობა. ამის დამამტკიცებელია სოფელ წყემში გამართული პირველი მაისობა. სოფლის მუშა-გლეხობამ წინდაწინ განზრახული გეგმის მიხედვით დილის 8 საათიდან დაიწყეს შეკრება სკოლის ეზოში, სადაც მათ ხვდებოდათ წითელი რაზმელები წითელი დროშით ამხ. აბდალაძის მეთაურობით. სადღესასწაულო მიტინგის გახსნის წინ, გამოჩნდა მომავალი ურემი, რომელზედაც ლამაზათ დაეწყოთ სახნისი, კავი და გუთანი, რომელსაც წინ მიუძღოდა თოხებით მუშა გლეხები. სადღესასწაულო მიტინგი გახსნა ამხ. ივანე ჯაიანმა, რომელმაც მოკლე შინაარსიანი სიტყვით გააცნო დამსწრე საზოგადოებას, პირველი მაისის მნიშვნელობა მუშა გლეხებისათვის. მოხსენების შემდეგ, წითელი რაზმელებმა ამ დღის აღსანიშნავად რამდენიმეჯერ გაისროლეს თოფები. ამხ. ჯაიანმა გააცნო დამსწრეთ, რომ ამ სოფელში იმყოფება მუშათა ინტერესებისათვის, მენშევიკური ჯალათებისაგან გმირულად განგმირული მიშა მელიას სახლი, და მოუწოდა პროცესის მასთან მისვლა ამხანაგის პატივსაცემათ. პროცესია წითელი დროშით, და წითელი რაზმელებით დაიძრენ მელიას სახლისკენ რევოლიუციონური სიმღერით. პროცესიას გზაში დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა ხალხი, მელიას სახლში მის სურათთან ამხ. ივანე ჯაიანმა და აპოლონ რატიანმა, გააცნო ხალხს ამხ. მიშა მელიას მნიშვნელობა მუშათა გლეხებისათვის და მისი ვერაგული მოკვლა.

წითელ რაზმელებმა რამდენიმეჯერ გაისროლეს თოფები ამხ. საპატივცემლოთ, რის შემდეგ პროცესია მწყობრად დაიძრა უკან და რევოლიუციონური სიმღერით გაემართა სოფლის სხვადასხვა კუთხეებისკენ. ხალხი პროცესიას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. დღის სრულ 3 საათზე პროცესიამ თავი მოიყარა სკოლის ეზოში, რის შემდეგ პროცესია მწყობრად დაიშალა.

ძამუ მუშა.

ღია წერილი

საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს.

უკანასკნელ თათბირზე მიღებულ რეზოლიუციის გამო, რომელშიც გატარებულია ორტოდოქსალურ მენშევიზმის პოლიტიკური ხაზი, მე პრინციპიალურად შეუძლებლათ მიმაჩნია კვლავ დავრჩე ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობაში.

ჩემს გასვლას ცენტრალურ კომიტეტიდან კერძოთ და საზოგადოთ კი—ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციიდან საფუძვლათ უდევს, როგორც იცით, ის პრინციპიალური მოსაზრებანი სოციალისტურ რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პრობლემებზე, რომელიც მე მრავალჯერ გამომითქვამს, როგორც სიტყვიერად ჩვენი ორგანიზაციის სხვადასხვა კრებებზე, წერილობითაც ჟურნალ „ახალ კვალში“. პოლიტიკურ დემოკრატიაზე ორიენტაცია სოციალისტურ რევოლიუციის პროცესში, პროლეტარიატის დიქტატურის „პარლამენტარულ მუსაიფით“ გადაქცევა და მით რევოლიუციონურ მარქსიზმის ტრადიციების უარყოფა, რაიც მენშევიზმის თეორიულ პოლიტიკურ ფილოსოფიის შინაარს შეადგენს, აშორებს მას სოციალიზმისაგან და ბურჟუაზიულ იდეოლოგიით ხდის. მენშევიზმმა თავის დასაყრდნობი—პოლიტიკური დემოკრატია, რაღაც აბსოლიუტურ კატეგორიათ დაისახა, რომელიც დროსა და სივრცის მკაცრ კანონებს არ ემორჩილება და რომელიც, როგორც „ევოპიული ფენომენი“ (!) გამოსადეგი ხდება, როგორც კაპიტალისტურ ხანაში, ისე პროლეტარიატის დისციპლინის პერიოდში.(?!)

ამრიგად, მენშევიზმს [illegible] შეაგრია მეტაფიზიკამ და ამნაირათ ის, სავსებით ჩამოშორებული დიალექტიურ მატერიალიზმს, სოციალიზმის მტერი გახდა.

მეცნიერულად გაკოტრებული ორტოდოქსალური მენშევიზმი კვლავ „დანავარდობს“ ევროპაში და მეორე ინტერნაციონალის პარლამენტარულ კრეტინების სახით სასტიკათ ებრძვის მუშათა მოძრაობას, რომლის წითელ დროშაზე მესამე (კომუნისტური) ინტერნაციონალის ლოზუნგები აწერია. რამდენათაც ძლიერდება ევროპის მუშათა კომუნისტური მოძრაობა, იმდენათ ღრმათ იფლება მენშევიზმი ოპორტიუნიზმის მყრალს ჭაობში.

მისი პოლიტიკური ბედი [illegible] ბურჟუაზიულ წყობილების ჩარჩოებს, რომლის ბუნებრივ სიკვდილთან ერთად მოკვდება პოლიტიკური მენშევიზმიც, რის უეჭველ გარანტიას იძლევა მესამე ინტერნაციონალის პრინციპების უშუალო კავშირი ისტორიულ პროცესთან და ამ პრინციპების რეალიზაციის პოტენცია.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, მე გავდივარ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციიდან.

საქ. ახ. მარქ. ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრი შურა დუდუჩავა.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ მე აღარ ვითვლები საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის წევრად.

ნიკოლოზ ნადიბაიძე.

2 მაისი, 1921 წელი.

ფოსტა

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს პროვინციაში.

ამხანაგებო! ამ მიმართვის გაცნობისთანავე პარტიული ორგანიზაციის პირველ კრებაზევე დააყენეთ საკითხი ერთი ან რამოდენიმე პასუხისმგებელ კორესპონდენტების არჩევის შესახებ. ამოირჩიეთ და გვაცნობეთ რედაქციაში მათი ვინაობა. მათი მოვალეობა იქნება: სისტემატიურათ გზავნონ გაზეთში სათანადო კორესპონდენციები პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. საჭიროა რომ ასეთი კორესპონდენტები იყვნენ ორგანიზაციის მუდმივ კონტროლის ქვეშ, რათა ასრულებდენ დავალებულ საქმეს. მასალისთვის პასუხისმგებელნი იქნებიან კორესპონდენტები და გამონაკლის სერიოზულ შემთხვევებში, თვით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია. იგულისხმება, რომ ასეთ საპასუხისმგებლო შემთხვევებში კორესპონდენტი უნდა მოქმედებდეს ორგანიზაციის აღმასრულებელი კომისიის ან ბიუროსთან შეთანხმებით.

ქ. რატიანს. თქვენ მიხვდებით თუ რატომ არ დაიბეჭდება თქვენი განცხადება იმ ფორმით როგორითაც ის გამოგვიგზავნეთ. შეგიძლიანთ დაასაბუთოთ იმნაირადვე, მარა ყოველ შემთხვევაში სხვა სიტყვებით.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

ხუთშაბათს, 12 მაისს საღამოს 6 საათზე, თ. კ. შენობაში (რუსთაველის პრ. № 22) პროპაგანდისტების ოთახში, შესდგება პედაგოგიური კომისიის კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები. ყველა წევრის დასწრება აუცილებელია.

კომისია.

დღეს, 12 მაისს, საღამოს ხუთ საათზე დანიშნულია თ. კ. პლენუმის მორიგი სხდომა

პროფესიონალური

პროფკავშირების ყველა საბინაო სამეულებს ამა წლის 14 მაისს, ოთხშაბათს საღამოს 5 საათზე. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პროფკავშირების ყველა საბინაო სამეულების, კავშირთა მდივნების და სახლების კომენდანტების კრება. კრებაზე განსახილველი საკითხები მეტად რთული და მნიშვნელოვანია და ამიტომ ყველას დასწრება აუცილებლად საჭიროა და სავალდებულო. ეს კრება მეორედ ინიშნება და ეხლა, რამდენიც არ უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება. პროფკავშირების ცენტრ. საბინაო განყოფილება.

შეჯიბრება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშნების ნიმუშების დამზადებაზე

ფულის ნიშნები დაიბეჭდება 30, 50, 100, 500, 1000, 5000 და 10.000 მან. ღირებულობის.

შეჯიბრების პირობები:

1) ფულის ნიშნის ნახატები, ქართული ათას მანეთიანი ბონის ფორმატის ოდენა და სამი სხვადასხვა ნაირი წარმოდგენილი შეჯიბრებისთვის, უნდა იყოს დამთავრებულის სახით, ორივე გვერდებზე ორი ფერით.

2) ნიშნებზე უნდა იქნეს ქართულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე შემდეგი შინაარსის წარწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშანი“.

გარდა ამისა წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ზემოჩამოთვლილ ხუთ ენაზე და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და იტალიურზე.

3) ფულის ნიშნები უნდა იქნეს შესრულებული ქართულ სტილზე, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ჩაქუჩი და ნამგალი.

4) დაჯილდოვება: საუკეთესო ნამუშევრისთვის მან. 500,000,— საშუალო მან. 300,000.—და შემდეგ მან. 200,000.

5) სრულიად დამთავრებული ნახატები შემსრულებლის ფსევდონიმით ცალკე კონვერტში და ამ ფსევდონიმის ვინაობის აღნიშვნით მეორე კონვერტში წარმოდგენილ უნდა იყოს ორივე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში ექსპედიციის კომისრის სახელზე არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25-სა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

მუშა-გლეხთა ინსპექციის თბილისის განყოფილებისაგან

ქალაქ თბილისისა და მისი მაზრის მცხოვრებთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ თბილისის ქალაქის რევკომის მუშა გლეხთა ინსპექციასთან დაარსებულია ბიურო საჩივრებისა და განცხადებათა მისაღებათ, და საბჭოთა ორგანოთა და მის ცალკე წარმომადგენლების ხელისუფალთა უკანონო და უსამართლო მოქმედებათა გამოსაძიებლათ განხილულ იქნება ყველა საჩივრები და ცნობანი, რომელშიაც იქნება აღნიშნული უკანონობა, მიზან შეუწონელი და განსაჩივრებული მოქმედება, შეუფარდებელი დეკრეტებთან, განკარგულებებთან ცენტრალური ხელისუფლებისა და თბილისის ქალაქის რევკომის პოლიტიკის საერთო მიმართულებასთან, როგორიცაა ბოროტ მოქმედება, კანცელიარული გაჭიანურება საქმისა, უხეში მოპყრობა და სხვ.

მისამართი: ყოფილი ქალაქის თვითმართველობა. (მუშა გლეხთა ინსპექცია).

საჩივრები მიიღება ყოველ დღე 9—3 საათამდე, კვირა უქმე დღეების გარდა.

ქალაქის რევკომთან არსებულ მუშა-გლეხთა ინსპექციის
განყოფილების გამგე: მ. გოგოტიშვილი.

მდივანი: ა. დავითაშვილი.

ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში“ დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება. დასაბეჭდათ დანიშნული მასალა უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის მხოლოდ ერთ გვერდზე, ორ გვერდზედ დაწერილი მასალა არ მიიღება ვისგანაც არ უნდა იყოს გამოგზავნილი.